საქართველო

ყოველდღიური გაზეთი | პარასკევი, 18 ივლისი 1919 წ. № 150 | ფასი 3 მან.

ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირებს 180 მან. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 60 მან. ცალკე № 3 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა— 2 მ. 50 კ. ნისია განცხადებები 3 მ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 60 მ. მისამართის გამოცვლა 10 მ. რედაქცია და კანტორა ღიაა დილის 9 საათ. ნაშ. 3 საათამდე.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა; ფოსტის ადრესი, თბილისი, ფოსტის ყუთი № 76; ტელეგრამის ადრესი: — თბილისი „საქართველო“.

ტელეფონი № 15—73

ქართული კლუბი

27 ქათათვეს

გაზ. „საქართველო“-ს საღამო

თბილისის სამაზრო ერობის გამგეობა

აცხადებს რომ, კვირას, 20 ივლისს, ერობის ბინაზე (რუსთაველის ქ. № 6), დილის 11 საათზე შესდგება

კრება

დელისში (საბურთალოს მახლ.) სარწყავ არხების გაყვანის შესახებ, დაინტერესებულ პირთ ვთხოვთ მობრძანდენ. 2—142—1

დაიწყო ხელის მოწერა

კავკასიის სავაჭრო-სამრეწველო სააქციო საზოგადოების

„საქართველო“-ს

აქციებზე ხელის მოწერა მიიღება

ბათუმში ნიკ. საბაევი	ხონში მ. ბახტაძე
ფოთში ბ. ქვანია	ყვირილაში მ. ბასილია
სოხუმში ნიკ. თავდგირიძე	გორში დ. მაჭავარიანი
სენაკში პეტ. დგებუაძე	თბილისი ტ. მარგველაშვილი
სამტრედიაში ტ. სიხარულიძე	სიღნაღში ნ. ყაზბეგი
ქუთაისში პ. უზნაძე	თელავში ვ. ციცქიშვილი

ხელის მოწერას მეთვალყურეობს ადგილობრივი საორგანიზაციო კომიტეტი დაგზავნილ ინსტრუქციის თანახმად. კომიტეტი ვალდებულია ენერგიულად და დაჩქარებით აწარმოოს საქმეები, რომ ხელის მოწერა მალე დასრულდეს. ხელის მოწერა წარმოებს ადგილობრივი ბანკის საშუალებით. 3—6.—3

კეთილო ხალხო და პატიოსანო მოქალაქენო!...

მიშველეთ ჩემის ძმის მკვლელების, ქალაქ ნახიჩევანის (ერევნის გუბ.) მცხოვრებთა

ალი მოლა ჰასან ოღლის და მაშადი ყასუმ მაშადი მამედ ოღლის პოვნაში. რომლებიც თავს იფარავენ საქართველო, აზერბაიჯანში და სომხეთის საზღვრებში. მაპოვნინეთ რომ შევსძლო მათი სამართალში მიცემა და მით ჩემი მოხუცი დედისთვის ნუგეშის მიცემა. მათი ნიშნებია: 1) ალი მოლა ჰასან ოღლი მაღალი, შავ მოწითალო, განიერ ბეჭებიანი სრული ვაჟკაცი 30 წლ. პირ გაპარსული და სქელ ტუჩება. 2) მაშადი ყასუმი—მაღალი, 28 წლის, წვრილი აგებულობის, შავგვრემანი, წმინდა პირისახის ქღარი თვალები და ივარცხნის თმას შუბლისაკენ. ვინც კი იცის სად სცხოვრობენ მათი ბინა შემატყობინოს როგორც პატიოსან მოქალაქემ სამართლის გულისათვის ეს თბილისში, სასტუმრო „აზერბაიჯანი“ იუნსუს ნაგიევს. ამას მოშტირალნი გამუდარებით. 1—2535—1

კავკასიის სათნოების დათა ცენტრალური გამგეობა აუწყებს სათნოების დებს, რომ პარასკევს, ქათათვის 18-ს საღამოს 6 საათზე საექიმო საზოგადოების ბინაზე (პუშკინის ბიბლიოთეკ. გიორგის ქ. № 4) შესდგება

გარნიზონის სათნოების დების

კრება

საგანგებო საკითხების განსახილველად ვთხოვთ ყველა დებს, დაესწრონ კრებას. 1—2537—1

გამგეობა

მევენახეთა საყურადღებოთ.

ვაცხადებ, რომ მომივიდა დიდძალი, ნამდვილი იტალიური გოგირდი ვენახის ყურძნის შესაწამლად. იყიდება რიყეზე ბახჩიევის დუქანში

მხოლოდ მევენახეთ. 2—2532—1

ფრონტის დღე

ხვალისთვის და ზეგისთვის გაიმართება ფრონტის დღე. ჩვენი რესპუბლიკის ყველა ადგილებში.

ამ დღისთვის დიდი იყო მზადება და ალბათ ეს დღე ჩატარებული იქნება სათანადოთ. და მთელ საქართველოში გამოიწვევს გამოხმაურებას.

ფრონტის დღე კიდევ უბრუნებს ჩვენ ყურადღებას სახელოვან ჯარს და გვაძლევს შეძლებას დავაფასოთ მისი დაუფასებელი სამსახური.

ყოველთვის, როცა საქართველოს დამოუკიდებლობაზე დაიწყებოდა დავა, მოწინააღმდეგენი აშინებდენ ნაციონალისტებს, რომ დამოუკიდებლობას ექნება ეფემერული ხასიათი და შეუძლებელია დამოუკიდებლობა არსებობა, როცა ირგვლივ ამდენი მტრები გვახვევიაო.

გარამოებამ მოიტანა და მთელ თაობათა მიერ გამოტანჯული ეროვნული თავისუფლება მოვიპოვეთ, მაგრამ საქართველოს არას დროს იმდენი მტერი არ დახვევია, როგორც დღეს. შიგნით და გარეთ—მართალი და მტყუანი, ისტორიული და ახლად გაჩენილი მტრები მოსპობას უქადდენ ჩვენ თავისუფლებას, არ ყოფილა საშუალება, რომელსაც ისინი დარიდებოდენ და არ გამოეყენებიათ ჩვენ წინაამდეგ და ბევრჯერ ყოფილა ისეთი დღე, რომ ეროვნულ კატასტროფასაც მივახლოვებივართ.

ყოველ ასეთ წამში საქართველო იხსნია სახელოვან ჯარს და მართველი პარტია რომელსაც ერთხელ ბან-კის მთავრობას ეძახდენ გადაურჩენია საფრთხისგან.

ჩვენ ვერც იმას ვიტყვით, რომ თავდადებულ ჯარს მისი დამსახურებისთვის სამაგიერო დაფასება მიეღოს, და მადლიერობის გრძნობა გამოეწვია — მაგრამ მხედრობა თვითონ აფასებდა მდგომარეობას და მსხვერპლის გაღების დროს მხოლოდ კეთილშობილური პატრიოტიზმით იყო გატაცებული.

ჩვენ ჯარს უნახავს ბათომის სირცხვილი, მაგრამ ეს მისი ბრალი არ იყო, შემდეგ საკმაოთ დამტკიცდა, რომ ბათომის დღეები საუკეთესო გაკვეთილი იყო იმისთვის, რომ ჩვენ შეგვეგნო ყველაფერი ჯარია და ამისათვის ყველაფერი ჯარს... ბათომის დაცემის მეორე კვირაში ნატანებთან ჩვენმა ჯარმა გამოიყიდა ეს შეცდომა და ამით მთელ საქართველოს მოხსნა სირცხვილ. შემდეგ იყო შავი ზღვის ექსპედიცია ბოლშევიკების წინააღმდეგ, სადაც ქართველმა ჯარებმა ზღაპრული გმირობა გამოიჩინა და სძლია ათჯერ უფრო მეტი და უფრო შეიარაღებული მტერი.

ერთნაირი გამბედაობით და ერთნაირი მხნეობით მოქმედობდენ ჩვენი ჯარი და გვარდია ოსეთში და დუშეთში და ყველგან.

გამარჯვება წინ უძღოდათ მათ.

განსაკუთრებით დიდი იყო დამსახურება სომხებთან ომის დროს.

როცა ჩვენი მთავრობის გაუფრთხილებლობის გამო სომხების ჯარი შემოიჭრა საქართველოს შუაგულში და თვითონ თბილისს ემუქრებოდა—როცა მტერმა ისარგებლა შემთხვევით და დაიჭირა საუკეთესო სტრატეგიული პუნქტები და თბილისის აღების მოლოდინში კადნიერ ულტიმატუმებს გვიგზავნიდა, რამდენიმე დღის განმავლობაში ჩვენმა მხედრობამ შემუსრა მტრის ძალა—და ერთხელ კიდევ ანახა ქვეყანას, რომ ქართველი ერი არასდროს არ დაძაბუნდება და არ დაკარგავს მილიტარულ უპირატესობას, რომელიც ნაანდერძევი აქვს წარსულიდან.

აგრეთვე სახელოვნათ იბრძოდა ჩვენი ჯარი გენერალ კვინიტაძის მეთაურობით ახალციხის რაიონში და თავისი გამარჯვებით წინსვლა მიიტანა არტაანამდის... არტაანიც აიღო, მაგრამ ეს გამარჯვება მაინც ვერ გამოვიყენეთ.

ეხლაც უშიშრათ სდგას ჩვენი ჯარი სოჭის ფრონტზე და დენიკინიც შეხვდება ისეთ წინააღმდეგობას, როგორსაც შეხვდენ ოსმალეთის ფაშები და ერევნელი დაშნაკელები.

სოჭის ფრონტი დაჭიმულია და ყოველ დღე მოსალოდნელია, რომ ზარბაზნები ალაპარაკდებიან.

ამიტომ აზრიანია დღეს ფრონტის დღეს გამართვა. დღეს ჩვენ უნდა დავამტკიცოთ, რომ ჩვენ გულში ღრმად არის ჩამჯდარი გრძნობა ჯარისადმი პატივისცემის და სიყვარულის.

ყოველი მოქალაქე ვალდებულია გაიღოს თავისი წვლილი, რითაც შეუძლია, რომ მოიხადოს თავის ვალი სამშობლოსა და ჯარის წინაშე. ამიტომ ეს დღე უნდა იყოს დღე ეროვნული დღესასწაულის.

19 და 20 ივლისი დაამტკიცებს, რომ ქართველ ხალხს შეგნებული აქვს თავის მოვალეობა ჯარის მიმართ და ფრონტიც გულის ცახცახით მოელის რომ ეს დღე ღირსეულათ იქნება გამართლებული.

ფრონტის დღე—დღეა საქართველოს დიდების.

ფრონტის დღე დღეა თავისუფლების შერჩენის.

ამას უწევდა ანგარიშს მესამე თავისუფალი კონფერენცია ნაციონალ-დემოკრატების, რომელმაც მიიღო შემდეგი რეზოლუცია:

„მესამე კონფერენცია ნაციონალ-დემოკრატების მოწიწებით პატივს სცემს საქართველოს დამოუკიდებლობისთვის დაღუპულთა ხსოვნას, რომელთაც ამით უკვდავ ჰყვეს თავის სახელი და გამოსთქვამს სურვილს რომ საზოგადოებამ აუგოს მათ ძმათა ძეგლები, რომელზედაც აღნიშნული იქნებიან თავდადებულთა სახელები“...

19 და 20 ქათათვეს ფრონტის დღეებია. ფრონტი გასაჭირშია. ჩვენს დამცველებს დახმარება სჭირდებათ! გაიღეთ ყველამ ხვალ და ზეგ თქვენი წვლილი გაამხნევეთ ჩვენი დამცველები.

პრესა

გაზ. „ბორბას“ ხელმძღვანელები გაფიცხდნენ და გუშინდელს №-ში სენსაციური აღმოჩენით ლამობენ კიდევ უფრო გააკვირონ, „ბორბის“ ყოველდღიური უცნაურობით, საკმაოთ გაკვირვებული მკითხველი.

თურმე ნუ იტყვით გაზეთი „საქართველო“ ქართული შავი რაზმის ორგანო ყოფილა.

თურმე ნუ იტყვით, გაზეთ „საქართველოს“ ეშინია, რომ სომხეთში არ შემცირდეს სომხის ნაციონალისტთა გავლენა!

თქვენ არ გჯერათ ეს ამბავი!

რა გასაკვირია, თქვენ რომ არ გჯეროდესთ; როდესაც იგი თვით გაზეთის ხელმძღვანელთ არ სჯერათ; მაგრამ ისინი თავიანთ დანიშნულებას მხოლოდ იმაში ხედავენ, რომ სწერონ და ილაპარაკონ სწორედ ის, რაც არ სჯერათ და რაც ვერც ვერვის დააჯერებს.

რამ ააპილპილა მაინც დღეს მენშევიკების „საგარეო“ გაზეთი.

ამას წინად ჩვენ შევეხეთ იმ კამპანიას, რომელსაც აწარმოებენ ქართველი სოც.-დემოკრატები სომხის ეროვნულ საბჭოს არჩევნებში; აღვნიშნეთ, რომ [illegible] და სხვა ეროვნული საბჭოები [illegible] მათ მიერ სომხეთის ეროვნული საბჭოც ანტიქართული პოლიტიკური ორგანიზაციებია, რომელთა შეწყნარებას არავითარი სახელმწიფოებრივი მოსაზრება და საბუთი ვერ გაამართლებდა და ის აზრი გამოვსთქვით რომ როგორც არარატის რესპუბლიკაში უკანასკნელ არჩევნების დროს, დაშნაკცაკანებმა გაიმარჯვეს, ისე გაიმარჯვებენ საქართველოს სომეხთა ეროვნული საბჭოს არჩევნებში მისთვის, რომ ჩვენში მარტო დაშნაკელები მოქმედებენ და ბატონობენ.

აქედან ლოგიკური დასკვნაა:

ამომრჩეველთა მიწვევა ყუთებთან დაშნაკელების სასარგებლოდ აგიტაციას უდრის.

ეს წერილი ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი იყო 5 დღის წინეთ, მაგრამ „ბორბასთვის“ მხოლოდ ეხლა დაუწყვამს გული?

შეიძლება მიტომ, რომ ამ წერილის შემდეგ მოვათავსეთ ჩვენ მეორე წერილი, რომელშიდაც ჩვენ გავკიცხეთ მენშევიკების „საშინაო“ და „საგარეო“ გაზეთები იმ სიმპატიისთვის, რომელიც გამოსთქვეს ბ-ნ კოლუჟნისა და „საგარეო“ გაზეთის სხვა მონათესავე პირებისადმი

თუ ამაში მდგომარეობს ჩვენი „შავრაზმელობა“, ჩვენ არ დაუწყვებთ კამათს ამ სახელწოდების ავტორს, რადგან დრო და ჟამი გამოაჩენს, ყველას ფერს და ვინაობასაც.

ამ „ვინაობათა“ გამოაშკარავებაში კი, ჩვენს მენშევიკებს საკმაო გამოცდილება უნდა ჰქონდესთ.

მაგალითად, დღეს სოც. დემოკრატების პრესაში ასეთ სტრიქონებს ვხვდებით:

„იცის თუ არა „საქართველომ“, რომ სომეხი სოციალ-დემოკრატი ზურაბოვი ისეთივე მტერია ჩვენი, როგორც დაშნაქცაკანები?

ჩვენ ეს დიდი ხანია ვიცით და დიდი ხანია რაც ამაში ვარწმუნებდით ჩვენს სოციალ-დემოკრატებს, და მადლობა ღმერთს რომ მიზნისთვის მიგვიღწევია და დღეს ამაში ჩვენი სოციალ-დემოკრატებიც დარწმუნებულან.

თორემ განა დიდი ხანია მას შემდეგ, რაც ეს ბ-ნი ზურაბოვი და მისი ინტერნაციონალური რუსულ-სომხური ამალა, მენშევიკების ბინაზე სცხოვრობდენ და საქართველოს დასამცირებლად და სამტროდ სწორედ მენშევიკების წყალობით განაგრძობდენ ჩვენს საქმეებს?

მაშინ ბ-ნი ზურაბოვი ისეთივე ხელშეუხლებელი პიროვნება იყო, როგორც ბრძანდებიან დღეს. სია ნომერ მესამეში შეტანილი პირები, ან და, გაზეთ „ბორბას“ დღევანდელი ზოგიერთი ხელმძღვანელი.

ბ-ნი ზურაბოვი მალე „გამოირკვა“; შეიძლება ასევე მალე „გამოირკვნენ“ სხვებიც.

რა შეიძლება მოსთხოვო ხალხს, რომელიც ასეთი ილლუზიებით სცხოვრობს: „ჩვენ იმედი არ დაგვიკარგავს, რომ სომხის ხალხს გამოვგლეჯთ იმ პარტიის გავლენისაგან, რომელიც თავის პატივ-მოყვარეობისათვის, მთელი სომხეთი სასაფლაოთ სურს გადააქციოს“.

ამას სწერს ჩვენი მართველი პარტიის ოფიციოზი

იმედი კარგია, მაგრამ იმედზე პოლიტიკის დამყარება—ვერაფერი სიბრძნეა.

როდესაც ბავში დაუსრულებლივ ცას შეჰყურებს და ოცნებობს ცისფერი იმედებით, მაშინ კიდევ იმედებს ამყარებენ: გაიზრდება და მიწასაც შეხედავსო..

ხოლო, როდესაც ვეებერთალა მამაკაცი, დაუსრულებელ ოცნებაშია ჩაფლული, მასზედ რასაც ამბობენ, ჩვენმა მენშევიკებმა მოიკითხონ.

რუსი მოღვაწენი რუსეთის მომავალზედ

რამდენიმე დღის წინათ ბათომში ჩამოსულა, სტამბოლიდან რუსეთში მიმავალი, რუსთა ერთი თვალსაჩინო მოღვაწეთაგანი და მოსკოვის გაზეთ „უტრო როსიის“ რედაქტორი ბ-ნი ი. პოპლავსკი, რომელსაც ფრიად საყურადღებო საუბარი ჰქონია რუს მწერალ ი. ლვოვთან, ბ-ნ პოპლავსკის სხვათა შორის უთქვამს:

„რამდენათაც შესაძლოა, რომ წარმოდგენა ვიქონიოთ სტამბოლის ცნობებით, მდგომარეობა ამ ჟამად როთულია და ძლიერ დახლართული.

ამ ომის დასასრულს, საფრანგეთი, როგორც განყენებული დარჩა.

ინგლისს, რასაკვირველია, რუსეთისადმი დახმარების სურვილი აქვს; ამერიკაც, რომელიც ყველგან და ყველაფერში ძალიან ბევრს სჩადის მხოლოდ რეკლამისთვის, წინააღმდეგი არ იქნება, რომ დახმარება გაგვიწიოს და, შესაძლოა, რომ დიდი ფულიც დახარჯოს.

მაგრამ საერთოდ უნდა აღვნიშნო, რომ მოკავშირეებს არა აქვთ შიში, რომ მათს სახელმწიფოში ბოლშევიზმმა ფეხი მოიკიდოს და ამიტომ რუსეთის მდგომარეობას, ისინი გულგრილად შესცქერიან, — მოსკოვში ჩვენ მაინც შევალთ შემოდგომის მიწურულში, ოქტომბერში ან სულ აღარ შევალთ— სთქვა ბ-ნმა პოპლავსკიმ.

მოსკოვში ჩასვლისას, ჩვენ შევუდგებით აღმშენებლობით მუშაობას, თუ რუსეთის სახელმწიფოსას არა, მოსკოვის სახელმწიფოსას მაინც.

ასეთმა დამწუხარებულმა და ანტანტით უკმაყოფილო სახეებმა უკვე დაიწყეს გამოჭვრეტა რუსეთის მოღვაწეთა სიტყვებში.

სჩანს, ბევრს არ უმართლდებათ ის ოცნებები, რომელიც აჟღარუნებდა მათს იარაღს უკანასკნელ ხანებში...

დამფუძნებელ კრებაში

ადგილ. მმართვ. და თვითმართველობის კომისიამ, თავის სხდომაზე ოთხშაბათს განიხილა და მიიღო პლენუმის სხდომაზე წარსადგენად შინაგან საქმეთა მინისტრის პროექტი დეკრეტისა—ადმინისტრაციის ინსპექტორის თანაშემწეს კანცელარიასთან ქუთაისში არქივის დაარსებისა და შტატის შემოღების შესახებ.

დღეს, საღამოს 7 საათზე შესდგება ამავე კომისიის სხდომა, რომელიც განიხილავს: 1) იუსტიციის მინისტრის კანონ-პროექტს სასცხოვრებელ ბინებზე უკიდურის ფასების დაწესების შესახებ, 2) სამხედრო მინისტრის მომართვას ამავე კითხვის შესახებ, რამდენადაც იგი ჯარისა და საერთოდ სამხედრო საჭიროებას შეეხება, 3) ოსეთის ეროვნულ საბჭოს შუამდგომლობას, რომლითაც ოსობა ითხოვს სამხრეთ ოსეთის ცალკე ერთეულად გამოჭრას, რომელიც შეიმუშავებს საკუთარ კანტონალურ კონსტიტუციას. შუამდგომლობა მეტად საინტერესოა იმ მხრით, რომ ასეთი კონსტიტუციის პროექტი მოუვიდა კიდეც კომისიას და უფრო სუვერენულ სახელმწიფო ერთეულის ელემენტებს ატარებს.

განხილული იქნება აგრეთვე სხვა კითხვებიც

— აგრარულ კომისიის მცირე კომისიამ მოახდინა მიწად-მოქმედების სამინისტროსთან არსებულ შენის საწყობის რევიზია, რომლითაც მან მრავალი ბოროტმოქმედებანი აღმოაჩინა. სათანადო ოქმი შეაყენა და წარუდგინა აგრარულ კომისიის პლენუმს, რომელმაც ოქმი დაადასტურა ამა თვის ივლისის 16-ის სხდომაზე და დაადგინა, რომ დ. კახელაძე განთავისუფლებულ იქნეს თანამდებობიდან (შენის საწყობის გამგედ იყო), როგორც ამ მოვალეობისათვის შეუფერებელი პირი.

— ადგ. მართვ. და თვითმართ. კომისიამ საბიუჯეტო-საფინანსო კომისიასთან შეთანხმებით განიხილა საფუთო გადასახადის დაწესების კითხვა რკინისგზათა და ზღვით შემოტანილ-გატანილ საქონელზე და ამ დღეებში წარუდგენს დამფუძნებელ კრების პლენარულ სხდომას.

— ამ თვის დასასრულს დაიწყება დამფუძნებელ კრების არდადეგები, რომელიც გაგრძელდება დაახლოვებით თვე-ნახევარს საჭიროა მხოლოდ რამდენიმე მნიშვნელოვან კანონპროექტის გატარება და შემდეგ შესწყდება 1-ლი სესია.

ინგლისელთა წასვლა კავკასიიდან და ჩრდილო რუსეთიდან

რეიტერის ცნობით, ბრიტანეთის ჯარმა ჩრდილო რუსეთიდან გასვლა უკვე დაიწყო. ჩქარა იქ სრულიად აღარ იქნება ბრიტანეთის ჯარი, გარდა მოხალისეთა რაზმებისა.

ბრიტანეთის ჯარი გავა აგრეთვე კავკასიიდანაც. ხაზგასმით ნათქვამია რომ მთავრობას ამ ოლქების ევაკუაცია დიდი ხანია აზრადა ჰქონდა.

ქრონიკა

— **ფრონტის დღე.** დღეს დილის 10 საათიდან საღამოს 10 საათამდის მთავარ კომიტეტის სადგომში (არაფელოვის სახლი რუსთაველის ქ. № 24) დარიგდება ყულაბები და ნიშნები შემოწირულების შემკრებთათვის. უნდა გამოცხადდნენ ყველა რაიონის წარმომადგენელნი აგრეთვე სასურველია გამოცხადდებოდნენ მსურველნიც, რომელთაც ფულის შეკრება შეუძლიათ. შაბათს ყულაბები არავის არ მიეცემა. სასურველია, რომ სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებმა სამსახურიდან გაანთავისუფლონ ერთი დღით ის პირნი რომელნიც საქმეში იქნებიან ჩაბმულნი ფრონტის დღის მოწყობაში. ნუ დაივიწყებთ ფრონტს და უკვე მოახლოვდა დანიშნული დღეები და მომუშავენი გვესაჭიროება. გთხოვთ ყველანი ვისაც სურს მუშაობა, გამოცხადდეს. ყოველგვარი შემოწირულება ნივთებით, ფულით ან მათი გამოგზავნა შეიძლება მთავარ კომიტეტის ცენტრალურ სადგომში, სადაც დილის 10 საათიდან საღამოს 9 საათ. ყოველ დღე მორიგეობენ კომიტეტის წევრები. ისწრაფეთ, შეასრულეთ—თქვენი მოქალაქობრივი მოვალეობა და რითაც შეგიძლიანთ დაეხმარეთ ჩვენ დამცველთ.

— **მუსიკა ფრონტის დღისათვის.** თბილისში მცხოვრებ მომღერალ—დამკვრელთა უმრავლესობამ უკვე სურვილი განაცხადა ფრონტის დღის სა-

უკანასკნელი ცნობები

მოკავშირეებს გერმანიამ სამი ახალი ნოტა წარუგზავნა პირველი საფრანგეთ-ბელგიის კომისიის შესახებ, მეორე საარის ოლქზე და მესამე რეინის პროვინციაზე.

უკანასკნელ შეტევის გამო მოკავშირეებმა სამი გემი გააგზავნეს ფიუმეში, ინგლისის, ამერიკის და საფრანგეთის.

რეიტერის სააგენტოს ცნობით ბოლგარეთის ფრაკია ოსმალეთს გადაეცემა. ხოლო დობრუჯა სერბეთს.

ბოლშევიკები ციმბირში წინ მიიწევენ.

ბოლშევიკების ცნობით მოკავშირენი ფინებს აღარ ეხმარებიან, ამის გამო ფინები სწერენ ჩვენ ან ბოლშევიკებს უნდა შეუერთდეთ და ან გერმანელებსო.

ფინეთის ნავთსადგურებში გაფიცვა იზრდება.

ზეიმო გახსნაში მონაწილეობა მიიღოს სრულიად უსასყიდლოდ. ერთგვარი წესრიგისათვის გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ სამუსიკო ანსამბლი უნდა შეიკრიბოს 19 ამ თვეს დილის 8 საათზე სახელმწიფო თეატრთან, საიდგანაც იგი მწყობრად გაემგზავრება თავისუფლების მოედნისაკენ. კერძო გუნდების და ორკესტრების ხელმძღვანელთ, რომელნიც ჯერ არ ჩაწერილან სთხოვენ განაცხადონ სახელმწიფო თეატრში თავიანთ ამსრულებელთა რაოდენობა.

◆ **აზერბაიჯანის დიპლომატ. წარმომ. განცხადება.** აზერბაიჯანის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა პროტესტი განუცხადა შინაგან საქმეთა მინისტრს, შესახებ „კავკაზსკოე სლოვო“-ში მოთავსებულ ყველა სომეხ მოქალაქეთადმი მიმართვისა, რომელიც ამავე დროს მიმართული იყო აზერბაიჯანის მთავრობის წინააღმდეგ. იმავ წარმომადგენელმა მიუთითა იმაზე რომ ის ოფიციალური ცნობები, რომელსაც მისიის საინფორმაციო ბიურო უგზავნის პრესბიუროს ყველა გაზეთებში არ იბეჭდება. შინაგან საქმეთა სამინისტრომ წინადადება მისცა პრესბიუროს დიდი სიფრთხილით მოეპყრან იმ ცნობებს, რომელნიც ჩვენ მეზობელ რესპუბლიკებს შეეხებიან, და მისიებიდან მიწოდებული ოფიციალური ცნობები, ყველა ადგილობრივ გაზეთებში იბეჭდებოდეს.

◆ **შიკრიკი ბათომში.** მოსკოვის უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტების წრე 19 ივლისს თბილისიდან ბათუმში ჰგზავნის შიკრიკს, წერილები და დავალებები მიიღება წრის სამკითხველოში (რუსთაველის პროსპექტი № 10) დილის 10-დან 2 საათამდი.

◆ **დელეგაცია ქვაბლიანიდან** გუშინ მთავრობის თავმჯდომარეს წარუდგა სოფ. ქვაბლიანიდან (ახალციხის მაზრა) ჩამოსული დელეგაცია და ესაუბრა სხ. და სხ. საქმეებზე. მთავრობის თავაჯდომარემ გულდასმით მოუსმინა დელეგაციას და აღუთქვა მათ ყოველგვარი დახმარება.

◆ **კომისრების თვითნებობა გერმანელების კოლონიაში.** პეტერსდორფისა, ფრენდენტალისა და მარიენფელდის მცხოვრებმა გერმანელმა ახალშენებმა შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე შუამდგომლობა აღძრეს, კომისარ ზაქარიევისა და მის თანაშემწის ნ. ლომიძის უკანონო მოქმედებათა შესახებ: მცხოვრებლები მოითხოვენ მათი სამსახურიდან გადაყენებას.

◆ **ქალ-ვაჟთა მომღერალთა ანსამბლი.** ქართულ სამუსიკო საზ-ბამ და ამიერ-კავკ. კოოპერატივთა კავშირმა დააარსეს „კაპელა“, შემდგარი ორმოც ქალ-ვაჟისაგან, ლოტბრად მოწვეულია დ. არაყიშვილი, რომელიც 1 ივლისიდან უკვე შეუდგა რეპეტიციებს, მის თანაშემწედ—ვ. დანოვსკი. ანსამბლის მომღერალნი თვიურ ჯამაგირს იღებენ 600 მან. რეპეტიციები სადილს შემდეგაა 5—7 ნახ. საათ. რამდენიმე თავისუფალი ვაკანსია და მსურველთ სთხოვენ გამოცხადნენ სლეპცოვის ქ. № 4. ქართ. სამუსიკო სკოლაში. მოწვეულია აგრეთვე ლოტბარად კომპოზიტორი ნ. სულხანიშვილი.

სამხატვრო ქრონიკა

გ. ლეონიძემ ჰსთარგმნა ტეოფილ გოტიეს „მოჰამიშეთა კლუბი“.

◆ **დრამატიული დასი კახეთში.** შალვა დადიანის მეთაურობით ქართული თეატრის მსახიობნი ამ ჟამად მოგზაურობენ კახეთში. მოიარეს კიდეც საგარეჯო, სიღნაღი, გურჯაანი, ველისციხე და თელავი. ყველგან მიუხედავათ დიდის წვიმებისა დიდ-ძალი ხალხი დაიარება წარმოდგენებზე. მარტო ერთმა თელავმა 14.000 მ. გაიღო მათ წარმოდგენებში. დასს რეპერტუარში აქვს: „დამნაშავეა“, „ქრისტინე“, „ზურუსი“, „შურის ძიება“ და ვოდევილები. ყოველგან საზოგადოების ყურადღებას იმსახურებს პიესა „დამნაშავეა“ და ვოდევილი „დედის ერთა“. წარმოდგენებს ზოგ ალაგას სახელმძღვანელო სიტყვები უძღვის. წარმოდგენებს და საზოგადოებაც დიდის თანაგრძნობით უხვდება მსახიობებს. კვირას 13 მკათათვეს თელავში მყოფ ჯარის სარდალმა, გენერ. თავაძემ დასი სამხედრო საკრებულოში მიიწვია ჯარის კაცთათვის წარმოდგენის გასამართავად, რაიც დასის მიერ სიამოვნებით შესრულებულ იქმნა, რის შემდეგაც აფიცრობამ დასს დიდი ნადიმი გაუმართა. დასში იმყოფებიან: ჩერქეზიშვილი, ანდრონიკაშვილი, ანკარა, გორდელი, ნონონო, დადიანი, ბარველი, ფრონსპირელი, გუგუშვილი, აბდუშელი, ფანაშვილი და სხვ. ამ ჟამად დასი მიემგზავრება ლაგოდეხს, იქიდან კი დასი გაწვეულია ზაქათალას, სადაც ჯერჯერობით არამც თუ დასი, არამედ მარტო მსახიობიც არ ჩასულა.

ეკონომიური ცხოვრება

◆ **ჩამოსული საქონელი.** ბათომში ამ ბოლო დროს დიდძალი საქონელი ჩამოვიდა. კონსტანტინეპ. გემ „პოლონიკზე“ ჩამოიტანეს ასანთი 30.200 კილო; შაქარი 61,500 კილო. მანუფაქტურა 4,500 კილო, პილპილი 8.000 კ., ჩაი 4.290 კ., პაპიროსის ქაღალდი 1.240 კილო, ფეხსაცმელი 300 კილო, ლიმონის მარილი 7.900 კილო და სხვა საქონელი 2,012 კილო. ბერძნულ გემ „ალბატროსით“ კონსტანტინოპოლიდან ჩამოვიდა 3.893 კილო, პაპიროსის ქაღალდი 1650 კილო, ტყავეულობა 14,200, ასანთი 178 ყუთი, შაქარი 102,261 კილო, პილპილი 71 ტომარა, მედიკამენტი 1,900 კილო და სხვა საქონელი 2,770 კილო.

სომეხთა ცხოვრება

◆ **მანუფაქტურა სომხებისათვის.** სომხეთის რესპუბლიკის სამშვიდობო დელეგაციის (კონფერენციაზე) თავმჯდომარემ აგარონიანმა პოლოს ნუბარ ფაშამ, 300 მილიონ მანეთის ტყავეულობა და სხ. და სხ. მანუფაქტურა იყიდეს სომხეთისათვის.

◆ **რუსი მასწავლებლები სომხეთში.** თბილისის რუს მასწავლებელთა ერთმა ჯგუფმა შუამდგომლობა აღძრა სომხეთის რესპუბლიკის განათლების სამინისტროს წინაშე, რათა მისცენ მათ მასწავლებლობის თანამდებობა სომხეთის სასწავლებლებში. სამინისტრომ უპასუხა რომ მათი მიღება შეიძლება მხოლოდ იმ სასწავლებლებში რომლებშიაც რუსულ ენაზე არის მეცადინეობა.

◆ **სომეხ ლტოლვილთა გადაყვანა.** რადგანაც ბათუმიდან სომხეთში ამერიკიდან მოსულ ფქვილს ეზიდებიან, დროებით საქართველოდან სომეხ ლტოლვილთა გადაყვანა სომხეთში შეჩერებულია.

◆ **ახალქალაქის ლტოლვილების დაბრუნება.** გუშინ თბილისიდან ახალქალაქისაკენ გაგზავნეს რამოდენიმე ასი სომეხი ლტოლვილი.

სხ. და სხ. ამბები,

◆ **კომისრის დაპატიმრება.** ოთხშაბათს 16 ივლისს მილიციის უფროსის განკარგულებით დააპატიმრეს მე-3 უბნის კომისარი კ. კვესაძე.

◆ **აკოპოვის მოტაცება.** 15 ივლისს საღამოს 9 საათზე ექზარხოსის მოედანზე ბოროტ-მოქმედებმა გაიტაცეს სიღნაღის ცნობილი მდიდარი არშაკ ყ. აკოპოვი.

◆ **ფულის მოთხოვნა** ამ დღეებში ანნას ქუჩაზე 1 № სახლში მცხოვრებ ან. ბედოშვილს მოუვიდა უსახელო წერილი, რომლითაც მას 25,000 მან. სთხოვდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში მას სიკვდილით ემუქრებოდნენ. ამ საქმისათვის სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა ლევან მენჯიშვილი, რომელიც დანაშაულში უკვე გამოტყდა.

◆ **დაპატიმრება.** მილიციის უფროსის განკარგულებით 3 თვით დააპატიმრეს. ვალ. ქანდარია, სერ. და ლევ. ხაჩატურიანები, და ვ. ბორდოიანცი, როგორც პირნი საზოგადოებისათვის მავნებელნი.

პარტიული ცხოვრება.

◆ **ახალგაზრდათა მთავარი კომიტეტის კრება.** შაბათს, მკათათვის 19-ს დანიშნულია ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკ. მთავარ კომიტ. კრება, რომელიც შესდგება ახალგაზდების ბიუროში (ოლღას ქ.) საღამოს 6 საათზე.

პროვინციის ცხოვრება

ქ. ქუთაისი

— ქუთაისში ჩამოვიდენ იტალიელი ვაჭრები. მათ განზრახული აქვთ შეიძინონ ჩვენში აბრეშუმის პარკი. როგორც გავიგეთ იტალიელი ვაჭრები პარკში საკუთარ ფულს იძლევიან, უკიდურეს შემთხვევაში ოქროს ფულსაც.

ბათომი

რომანოვსკი თავის ადიუტანტით რუსეთს წავიდა. გაზ. „ნაშ კრაი“, „პორაზი“ გამოქვეყნებულ რომანოვსკის მოხსენებას სიჩუმით შეხვდა.

—

ამ ბოლო ხანებში ბათომში დაარსდა ბანკების კომიტეტი, რომელშიაც შედიან თითო-თითო წარმომადგენელი საკრედიტო დაწესებულებათა მათი მიზანია ბანკების ოპერაციების კოორდინაცია

გორი

კვირას, 20 მკათათვეს, დილის ათ საათზე ქ. გორის ქართველ ქალთა საზოგადოება „მანდილოსანის“ გამგეობა იწვევს წლიურ კრებას. კრება შესდგება საზაფხულო საკრებულოს დარბაზში.

ქ. ახალციხე

— 7 მკათათვეს, ახალციხეში ჩამოვიდა შავშეთის დელეგაცია, რომელმაც განუცხადა საქართველოს მთავრობის წარმომადგენელს, რომ შავშეთს ჰსურს დაუყოვნებლივ შეუერთდეს საქართველოს რესპუბლიკას.

— სოფელ რაკეთში, ქუნცაში და აძვიტაში (ურავლის თემი) სეტყვამ მოსავალი გააფუჭა.

— 8 მკათათვეს, ახალქალაქის გზაზე ყაჩაღები დახვდენ ჯავახეთში მიმავალ გლეხებს, წაართვეს ფული და ნივთები.

— ზურზუნაში, არტაანის ოლქში ქართველი მაჰმადიანები დაშნაკელების მთავრობას არ ემორჩილებიან.

— მკათათვის ათს, სამაზრო საკრებულო დარბაზში სომხურ საქველმოქმედო საზოგადოებამ საღამო გამართა ამავე საზოგადოების სასარგებლოდ. საღამოს დიდი ხალხი დაესწრო.

საქართველოს მოქალაქენო! დღეს ქართველი მამულიშვილნი სიცოცხლეს სწირავენ თქვენთვის და სამშობლოსთვის. დაუმტკიცეთ მათ, რომ ვინც აქ დარჩენილხართ თქვენ მათზედ ზრუნავთ. გაიღეთ უხვათ შეწირულება 19 და 20 მკათათვეს.

ფრონტის დღე

კვირას 20 მკათათვეს, „ფრონტის“ მეორე დღეს—როგორც გაგრძელება წინა დღით დაწყობილი ზეიმისა—მოხდება საზეიმო გამოსვლა დათვალიერება საქართველოს რესპუბლიკის ჯარებისა სამხედრო ტაძრის ეზოში. ტაძარში ამ დღეს წირვას შეასრულებს მისი უწმ. სრულიად საქართველოს კათოლიკოზი ლეონიდე სამხედრო და თბილისის სამიტროპოლიტო სამღვდელოებათა თანამწირველობით. წირვაზე იგალობებს მგალობელთა ორი გუნდი—ერთი მათგანი კომპოზიტორ ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით. წირვის შემდეგ გადახდილი იქნება კათოლიკოზის მიერ ტაძრის ეზოში პანაშვიდი ფრონტზე გმირულად თავდადებულთა სულის მოსახსენებლად და პარაკლისი ქართველი ერისა და მხედრობის დღეგრძელობისათვის.

მოხელეთა მდგომარეობისათვის

საქართველოს საუკეთესო ნაწილი, მისი ინტელექტური და შემოქმედი ენერგია დღეს სავსებით ჩაბმულია სახელმწიფოებრივ დაწესებულებებში ეგრეთ წოდებულ მოხელეების როლში.

ვინ არ გინდა, რომ, დღეს მოხელე არ იყოს. მოწაფე, სტუდენტი, კურს დამთავრებული ინტელიგენცია და ათასგვარ პროფესიის ხალხი, ექიმი, ვექილი, მასწავლებელი, ჟურნალისტი, ინჟენერი და სხ.

ყველა ესენი არიან საქართველოს აწმყო და მომავალი კულტურის მებაირახტრენი და მათზე ეყრდნობა დღევანდელ გარდამავალ ხანის მთელი სიმძიმე და პასუხისმგებლობა ერისა და სახელმწიფოს წინაშე.

მოხელეთა როლს ასრულებს დღეს ჩვენი ქვეყნის შეგნებული და ყველაზე საიმედო ელემენტი და მაშასადამე მთელი საქართველოს მართვა-გამგეობა, მისი საკანონმდებლო და აღმასრულებელი აპარატი ამ მოხელეთა კისერზეა დაწოლილი მთელის თავისის სირთულითა და მრავალ ფეროვანებით. ამგვარად, თითქოს ამ ინტელიგენციის მდგომარეობის, მათი კეთილდღეობისათვის და ნაყოფიერ გამოყენებისათვის უნდა იყოს მიმართული ჩვენი ქვეყნის საჭეთმპყრობელთა ყურადღების დიდი წილი, მაგრამ სინამდვილეს ჩვენ სულ სხვა, წინააღმდეგ დასკვნამდის მივჰყევართ.

საშუალო მოხელე იღებს თვეში 800—1000 მანეთს. ეს ჯამაგირიც მათ ერთი თუ ორი თვის წინად გაუხადეს. ეხლა ვიკითხოთ, რამდენად აკმაყოფილებს ეს მაქსიმუმი ჯამაგირისა ამა თუ იმ დაწესებულებაში მოსამსახურე ინტელიგენტს.

უბრალო შავი მუშა, რომელიც 8 საათით განსაზღვრავს თავისი მუშაობის დღეს, გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში იმყოფება ფიზიკურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების დარგში, ვიდრე მოხელე ინტელიგენტი სულ ცოტა, ასეთს მუშას თვისი თვიური შემოსავალი 3000 მანეთამდე აჰყავს და ამავე დროს ის ყოველგვარის პრივილეგიებით სარგებლობს. ინტელიგენტი მოხელე-კი პრივილეგიებზე ლაპარაკს რომ თავი დავანებოთ, არსებობისათვის ერთად ერთი შემოსავლის წყაროთი სარგებლობს ეს არის მისი თვიური ჯამაგირი. ეს ჯამაგირი მის უპირველეს მოთხოვნილებათაც ვერ აკმაყოფილებს. მარტო პურში არა ჰყოფნის მას 1000 მანეთი და მაშასადამე სხვა მოთხოვნილებანი სრულიად აუსრულებელი რჩება. მას უნდა ტანისამოს ფეხსაცმელი, მისი ინტელექტუალური ვითარება გაცილებით მეტს მოითხოვს, ვიდრე არის პურით გამოკვება და ტანისამოსის ჩაცმა. მისი კულტურული ხასიათის მოთხოვნილებანი ყოველთვის სჭარბობს მშრალ ქაღალდებისა და მიწერ-მოწერის შედგენას. ამაზე ლაპარაკი დღეს მეტია. მაგრამ თვისი პირდაპირი სამსახურით დაკისრებული მოვალეობაც რომ აასრულოს, მას არ უნდა შიოდეს მაინც ყოველ შემთხვევაში. 99 პროც. კი საქართველოს მოხელეთა პირდაპირ შიმშილის კლანჭებშია ჩავარდნილი და არა თუ თავის მოვალეობას ვერ ასრულებს სახელმწიფოთა წინაშე, ის ზნეობრივადაც ფიზიკურადაც, მატერიალურადაც და გონებრივადაც, ესთეტიურ მხარეზე რომ არაფერი ვთქვათ, საშინელ დაქვეითებამდე მისულა და განადგურება გადაშენების ჭეშმარიტ გზას მისცემია.

გადაჰხედეთ მათ მკრთალ სახეებს, შიმშილისაგან დაავადებულ სხეულს, ჩაცვენილ თვალებს. შეიხედეთ მათ ოჯახებში სადაც ნახავთ გაძვალტყავებულ ცოლსა და შვილს, გაცალიერებული კარ კუთხეს და ოთახებს. ყველაფერი გაყიდულია, რის გაყიდვაც კი შეიძლებელი იყო და დაიწვა კუჭის სამსხვერპლოზე. ყოველი ინტელიგენტის იმთავითვე სანუკვარი საგანი იყო ბიბლიოთეკის შეძენა და ათეულ წლეებით შენაძენი წიგნები დღეს ბუკინისტების თაროებს ამკობენ.

მაგრამ გამოილია შეიჭამა ოჯახის განიავებით აღებული გროშები და თქვენ შეგრჩათ ხელთ ძონძებში გახვეული და შიმშილით დაავათმყოფებული ქართველი ინცელიგენტი.

მას არ შესწევს იმდენი მათხოვრული გამბედაობა, რომ საქვეყნოდ იყვირონ ამაზე და გაფიცვების საშვალებით უფრო უარეს კრიზისში ჩააგდოს საქართველოს სახელმწიფო აპარატი. ამისათვის ის ერთობ შეგნებულსა და კულტურულ პიროვნებას განასახიერებს და ვერ გაჰყვება კლასიურ ბრძოლის უკულტურო მეთოდებს. მას არცა აქვს ამის უფლება, ვინაიდან ის პროლეტარად არ ითვლება. პროლეტარობამაც ხომ განსაკუთრებული ქართული ელფერი მიიღო. ქართველი კაცის წარმოდგენაში პროლეტარი არ შეუძლია იყოს ის, ვინც ინტელიგენტია და რომელიმე საპროფესიო კავშირის სტატუტებს არ ემორჩილება.

მაშასადამე, ის არ განიცდის რაიმე ორგანიზაციულ ერთეულის მფარველობას. სოციალისტურმა მართველობამ, პირიქით კონტრ-რევოლიუციონერთა სამარცხვინო ბეჭედი დაასვა „ჩინოვნიკს“ და ეს ტერმინი მხოლოდ უარყოფითი თვისებებით აღჭურვა. ამგვარად აღზარდა მან თვისი მიმდევრები და ეს აზრი ხალხის ფსიხოლოგიასაც კი მოხერხებულად დაუმონა. ქართული პრესა ხომ დღესაც არ გაუშვებს, რომ მოხელეთა ბანკში თითო ოროლა სიყალბითა და ტენდენციით ალესვე პწკარი არ გადისროლოს. ჩვენი სოციალდემოკრატებისათვის მოხელე და ისიც ინტელიგენტი საქართველოს გერი უფრო არი ვიდრე მისი საშოდან გამოსული და მისთვის მებრძოლი. მისი ლოზუნგია ყველაფერი ანაცვალოს მუშებსა და გვარდიელებს, ხოლო დანარჩენებისათვის კი ნამცეცებსაც არ ელევა.

ასეთი ფსიხოლოგიური შეგნება ღრმად არის ჩაწვეთილი არა მარტო ხალხისა დაინტერესებულთა ტვინში, არამედ პრაქტიკულადაც თანდათან ხორციელდება.

ინტელიგენტს არ აკმარებენ თავის ტანჯვას ფიზიკურსა და ზნეობრივს. მათ კონტრ-რევოლუციონერებათაც უსახავენ იმ ხალხს, რომელსაც სწირავს ის მთელს თავის არსებას. ამის და მიუხედავად დღევანდელი ქართველი ინტელიგენტი არ ეფიცება თავის ერს, თავის სახელმწიფოს და არ ეფიცება არც იმ მთავრობას, რომელიც ქართველ მოხელეთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ისევე ზრუნავს, როგორც პაპუასების ბურჟუაზიაზე.

არ ეფიცება და ეს არის უდიდესი ღირსება, დაუფასებელი მსხვერპლი, რომლის გაღებაც კი მას შეუძლია. ამას მხოლოდ ღრმა ეროვნულის შეგნებით გაჟღენთილი ადამიანი თუ ჩაიდენს, თვარა სხვა ვერავინ.

მთავრობა ვალდებულია ყურადღებით მოეპყრას ამ კითხვას, თუ არ უნდა ქართველი ხალხის შემოქმედი ნაწილი ფიზიკურად დაავადდეს და კრეტინი შთამომავლობა დასტოვოს.

რასაკვირველია არიან მექრთამეებიც, მაგრამ ეს არ უნდა ვეძიოთ ინტელიგენტურ წრეებში. ისინი პროპაგანდისტთა კადრმა წარმოშვა, რომელთა რიცხვი არც თუ ისე მცირეა ჩვენს დაწესებულებებში.

ჩვენ არ ვეჭვობთ, რომ მთავრობა დაჩქარებით შეუდგება მოხელეთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ზრუნვას.

ზ. ვ. დ.

19 და 20 მკათათვეს ფრონტის დღეებია. ვინც ჩვენს ერთგულ მამულიშვილებს არ ეხმარება—ის მამულის მტერია. დაამტკიცეთ თქვენი მამულიშვილობა.

აზერბაიჯანი

აზერბიჯან-სომხეთის ნავთის ტრანზიტი

საქართველომ აზერბაიჯანს აცნობა, რომ თავის ტერიტორიაზე არ გაატარებს აზერბაიჯან-სომხეთის შორის დადებულ ხელშეკრულების თანახმად სანავთო ტრანზიტს, თუ სომხეთი ნავთის ცისტერნებში საზღვარზევე არ გამოაბრუნებს ცარიელ ცისტერნებს უკანვე.

აზერბაიჯანის ავადმყოფი რკინის გზის მოსამსახურენი საქართველოს რკინის გზის საავადმყოფოებში

აზერბაიჯანის რკინის გზის სამმართველომ თხოვნით მიჰმართა საქართველოს რკინის გზის სამართველოს რათა აზერბაიჯანის რკინის გზის მსახურთათვის დაეთმოთ რამდენიმე ადგილი საქართველოს კლიმატიურ სადგურების საავადმყოფოებში.

საქართველოს რკინის გზების სამართველომ ნება მისცა, რომ აზერბაიჯანმა 10 ავადმყოფი სურამში გაჰგზავნოს და 5 ცემის რკინის გზის სანატორიუმში.

საქართველოს ნავთსადენი მილების შესახებ.

აზერბაიჯანის გზათა სამინისტრომ თხოვით მიჰმართა საქართველოს გზათა სამინისტროს, რათა მან დროზე გასწმინდოს საქართველოს ნავთსადენი მილები და აწარმოოს ამ მილების გასაწმენდი ხარჯის ანგარიში ცალკე, ვინაიდან ჯერ გადაწყვეტილი არ არის თუ ვის დაეკისრება ეს ხარჯები გადასახდელად. გარდა ამისა სამინისტრომ სთხოვა, რომ ყურადღება მიექცეს ნატანებ ბათუმის შორის მილებს, რომ იქ ნავთის გადაქაჩვა არ შეფერხდეს.

ოსმალეთის ვალდებულებათა უარყოფა.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენების შემდეგ აზერბაიჯანის მთავრობამ დაადგინა: აზერბაიჯანის მთავრობა მოვალედ არა სცნობს თავს გადაიხადოს ოსმალეთის ვალები მათი ბაქოში ყოფნის დროს აღებული.

ბაქოს კონკა

ამ დღეებში ბაქოს სხვა და სხვა ნაწილების შორის მოეწყობა ცხენიან ვაგონების მიმოსვლა.

ბაქოს ბირჟა მკათათვის 14-ს

კერენკას 1000 მან. 1450 მან. 250 მან. 1300 მან. ნიკოლოზის 500 მან. ახალი 1800 მან. ძველი 500 მან. 1900 მ. ნ. 100 მან. 325 მ ნ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

[illegible] ნავთი ნობელის 23000 მან. მანთაშევის 2000 მან. კასპიის 3000 მან. ლიანოზოვის 1800 მან. აკოპოვის 1400 მან ბოტილოვის 140 მან.

სომხეთი

ბერძენი პროფესორი ანდრეადისი სომხების შესახებ.

ნიუიორკის გაზეთი „კრისჩენ-საიენს მანიტორი“-ში მოთავსებულია ნიუიორკის ბერძენ პროფესორ ანდრეადისის წერილები, რომელიც სხვათა შორის სწერს:

„საბერძნეთმა არამც თუ ღიად განაცხადა ოსმალეთის ბერძნულ ოლქებზე არამედ სურვილიც კი გამოსთქვა, რომ შავი ზღვის სამხრეთი სანაპიროები, ტრაპიზონი და სინოპი გადასცემოდა სომხეთის სახელმწიფოსო, მიუხედავათ იმისა რომ ამ ოლქების მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ბერძნები არიან და არა სომხები. საბერძნეთი ფაქტიურ თავის მოკავშირედა სთვლის სერბიას და სომხეთს, ხოლო ახლოს შეიახმებულად რუმინიას.

ხალამო სომეხ-ობოლთა სასარგებლოდ.

კონსტანტინოპოლის გაზეთ „ჩაკატამორტ“-ი იუწყება, რომ პარიზში, რომში გაიმართა სომეხთა ობლების სასარგებლოდ საღამო, რომელსაც ხელმძღვანელობდა მეფის დედა პრინცესა იოლანტა. სტუმართა შორის იყო გაბრიელ დ' ანუნციო. მწერალმა ლუცატმა ამ საღამოს შესახებ წერილი დასწერა სათაურით: „დღეგრძელობდეს სომხეთი“.

სომხეთის ლიტერატორთა ამხანაგობის კრება

მკათათვის 4-ს გაიმართა ერევანში „სომხეთის ლიტერატორთა ამხანაგობის“ პირველი საერთო კრება. მიღებული იქმნა კომისრის მიერ შემუშავებული კანონპროექტი. ამხანაგობა თავის მუშაობას ექვსისთვის ბოლოს რიცხვებში დაიწყებს.

(„ამხ.“)

ზანგეზურის ბრძოლა

„აშხატავორის“ სიტყვით თიბათვის 27-ს თურქებმა კარიაგინო მაჰრიდამ 1500 ასკერი და 2000 შეიარაღებული თათრის ბრბო თავს დაესხა ყარაბაღს, აგარაკსა, ეღვარს და გაანადგურეს. კონტრ-იერიში მიიტანეს სომხებმა მოპირდაპირეზე და დაამარცხეს.

თათრები გამაგრდენ დონდუღლუში და ზარაზანების სროლაში ვარჯიშობენ.

მთათათვის 1—2 დღეებში თათრები კიდევ დაეცნენ ერიცათუქს და ხოზნაყთუს, მაგრამ უკუ იქცნენ დიდი ზარალით.

მტრის მიზანი იყო დაეჭირა ყანთარის სპილენძის მადნები და გზა გაეღო ნახიჩევანისკენ.

მიტარის მიმდევართა კონგრეგაციის შეცვლა

გაზეთი „სტამბული“ გადმოგვცემს, რომ ვენნის სომეხ მხიტარის მიმდევართა ბერთა საძმო, რომელიც აქამდე ექვემდებარებოდა ავსტრიის ხელმწიფოს, ეხლა შევიდა საფრანგეთის მფარველობის ქვეშ. (მხიტარი იყო პირველი სომეხი, რომელმაც იტალიის კუნძულზე ააგო მონასტერი და დაიწყო სომხეთის კულტურის აღორძინების საქმე. ასეთი მონასტერი ვენაშიაც არსებობდა. რედ.)

სამგზავრო მატარებლების შემცირება

ინგლისელთა ბრძანებით და სომხეთის მინისტრთა საბჭოს ბრძანებით ყოველ დღიური მოძრაობა სომხეთის რკინის გზებზე შეწყვეტილია და ნაცვლად შემოღებულია კვირაში სამჯერ და ისიც მხოლოდ სანაინ-ერევანს შორის, მატარებელს ერთი ორ ორთქმავალის მეტი არ უნდა ებას. ერევნიდან გამოვა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 23 საათზე და 30 წ. სანაინში ჩავა 19 საათზე და 5 წუთზე.

თათარ ბერძენთა შეტაკება

სომხურ გაზეთების ცნობით ქალაქ აიდინში (კილიკიაში) ატეხილი ბრძოლა თათრებსა და ბერძნებს შორის ბერძნების გამარჯვებით დასრულდა.

ბრაზილიის სომხები

ბრაზილიის სომხებს დაურსებიათ კავშირი, რომლის მიზანია საქმრო ურთიერთობის მოწყობა ბრაზილიასა და სომხეთის შორის.

ბათუმი

ნავთსადგურზე.

ბათუმის ნავთსადგურში ამ ჟამად მეტად გამოცოცხლებულია. ყოველ დღე მიდი-მოდიან გემები, ნოვოროსიისკში, კონსტანტინოპოლში, ოსმალეთის ნავთსადგურებში და სხვა ქალაქებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

...ე ვასინჯეთ, ზოგიერთი ვაჭარი საზღვაო ქალაქებშიაც კი ჰბედავენ საქონლის შეტანას.

ამ ჟამად იტალიის ერთ ზე-დრედნოუტის გარდა („დუკლიო") ჩამოვიდა ინგლისის ერთი ნაღმოსანიც.

„დუკლიოზე" ამ დღეებში ნადიმი გაიხადეს, რომელსაც დაესწრნენ ინგლისელები, ფრანგები, ადგილობრივი რუსები და ქართველთაგან ბ-ნი ჭავჭავაძე.

ფულით სპეკულიაცია.

ერთის მხრით ვაჭრების დიდი მოგებით, მეორეს მხრით უცხო ფულის სპეკულიაციით ადგილობრივ სანოვაგეზე ფასებმა მეტად იმატეს. თუ სადმე ფულით ვაჭრობა არის განვითარებული, ბათუმი ალბად იმას არაფრით არ დაუვარდება, რა ფული გინდათ რომ აქ არ შეხვდეთ. ფულით სავაჭრო ბუდე აქ ზღვის ნაპირა (ნაბერეჟნაია) ქუჩაზე გამართული კაფეა. აქ ხალხის თვალწინ ითვლიან ნიკოლოზისა და კერენსკის ათასიანებს, ერთ მხარეს ალაგებენ, მშიერ ხალხს თვალებს აბრეცენ და ამით ყაჩაღობას ანთარებენ.

ამ ბოლო ხანებში თბილისიდან მოსული ცნობების გამო უცხო ფულის კურსი მეტად დაეცა. კავკასიის ვალი უფრო მაღლა იწევს.

სიძვირე.

ბათუმში ცხოვრება ამ ზემოთ ჩამოთვლილ მიზეზებისა გამო მეტად გაძვირდა. მიუხედავად ფულის კურსის აწევისა ცხოვრება ისევ ისეთივე სისწრაფით ძვირდება.

თბილისიდან ჩამოსული პირდაპირ მოსტეხ კარლოში იგრძნობს თავს სიძვირის მხრივ. ამ რამოდენიმე ხნის წინად ... ერი სულ 3 მანეთად ღირდა და ახლა კი 9 მანეთადა ღირს. ბარათებით იძლევიან ძალიან ცუდ შავ პურს. სულ უბრალო სასადილოში თითო სადილი კაცს დაუჯდება 60 მანეთი ... ხილი თუ გაჰბედა და ასე თუ ისე კარგ სასადილოში, მაგალითად ბულვარზე, 90 მანეთად ღირს ორი თავი საჭმელი.

ზოგ საქონელი კი პირდაპირ წარმოუდგენელია მიუხედავად იმისა რომ მრავალია. ინგლისელებმაც ბოლო დროს დაიწყეს მანუფაქტურული ნაწარმოების მოხელეთათვის დარიგება.

ძარცვა გლეჯა.

ერთის მხრით ღარიბი ნოხლეობა და მეორეს მხრით რამდენიმე მილიონების შეძლე სპეკულიანტები აი სურათი დღევანდელი ბათუმისა. სიძვირემ ხალხს დაუკარგა სინდისი და შიმშილმა ბათუმი ძარცვა გლეჯის ბუდედ გადააქცია.

იმ კლუბის გაძარცვის შემდეგ, რომლის შესახებ „საქართველოში" ცნობა უკვე იყო, აქ ფრიად დიდი. ძარცვა მოხდა. ამ დღეებში „მახინჯაურში" თავს დაესხნენ ორ კაცს და 50.000 მანეთი წაართვეს. ადმინისტრაცია სრულიად უსუსურია, რადგან ადგილობრივნი ფულით ვერ ეკიდებიან საქმეს, უცხო ბატონების შემყურე. ინგლისელთა მილიცია კი ვერ იჩენს სათანადო ფხას.

ოსმალეთის ბედი

პერძულ გაზეთ „ეტნას" ცნობით ოსმალეთის საკითხის გადასაჭრელად საზავო კონფერენციას ორნაირი პროექტი აქვს. პირველი პროექტით აზიური და ევროპიული ოსმალეთი ოთხ სახელმწიფოს შორის უნდა განაწილდეს, ხოლო მეორე პროექტით კი ახალ ოსმალეთს უნდა დაენიშნოს მხოლოდ ერთი პროტექტორი სამ სახელმწიფოთაგან: ან ინგლისი, ან ამერიკის შეერთებული შტატები და ან საფრანგეთი. ამ ცნობით ერთი ცხადია: ოსმალეთი თავის თავს აღარ მიეკუთვნება.

კრასნი ტატსადა „ცარსკოე სელოს" გარშემო

ბაქოს მოხალისეთა გაზეთი „როსსია" იუწყება რომ პარიზის გაზეთის ცნობით (ნაროდ. გაზ.") გენ. იუდენიჩის ჯარმა კრონშტატი და „ცარსკოე სელო" აიღო და პეტროგრადზე იერიშით მიდისო.

როგორც მოსკოვის ცნობებიდანა სჩანს ეს სიმართლეს არ შეეფერება, ამასვე ამტკიცებს ინგლისიდან მოსული უკანასკნელი რადიო რომელიც იუწყება: ბოლშევიკებმა ფინელ მოხალისეთა ჯარი დაამარცხეს და სდევნიან.

მამულიშვილნო! მოიხადეთ თქვენი ვალი მათ წინაშე, ვინც სამსხვერპლოთ გაწირა იგი, როგორც განწირული ქართველი ერი საუკუნეებში, თავის მამულის დასახსნელად.

პარტიის წევრთ და თანამოაზრეთ

რომელნიც მიემგზავრებიან ახალციხის, ახალქალაქის ანუ ბორჩალოს მაზრაში, სვანეთში ან აფხაზეთში, ვთხოვთ შემოიარონ წთავირ კომიტეტის ბინაზე („საქართველო"-ს რედაქცია—სახაზლის ქუჩა № 5).

დეპეშები

(საქ. დეპეშ. სააგენტო)

ივლისის 16-ს

გერმანული პრესა.

საბერძნეთის მეფე და ვენიზელოსი

მეფე კონსტანტინე ლიუცერნის ერთ ერთ სასტუმროში სცხოვრობს, მას იმედი აქვს, რომ ნოემბრის არჩევნებზე ის ტახტს დაიბრუნებს. ამერიკულ ჟურნალისტთან საუბრის დროს განაცხადა: „რა საკვირველია, მოსალოდნელია არჩევანი ჩემსა და ვენიზელოსის შორის კონფერენციის შემდეგ ვენიზელოსი პოპულიარული პიროვნება გახდა. შესაძლებელია, რომ არჩევნები კანონიერად არ მოხდეს. ჩემთვის ეს სულ ერთია, მაგრამ მე მსურს, რომ ჩემმა ხალხმა თავისუფალი არჩევანი მოახდინოს. „ოქვენ რას იტყვით მეფის მოვალეობათა შესახებ? თუ თქვენ ამ სიტყვაში მონარქიას ჰგულისხმოთ ამ მხრივ საქმე გათავებულია. მე არას დროს არა მწამდა მირონ ცხებულის უფლებები, მაგრამ რაც შეეხება დემოკრატიას, მე ვიცი ისეთი სამეფოები, რომლებიც უფრო დემოკრატიულია, ვიდრე შეერთებული შტატები". შემდეგ განიმეორა, რომ მან ზურგი შეაქცია გერმანოფილობას. დიდ სახელმწიფოსთან ერთად ომში ჩარეული მცირე ერები მეტად ზარალდებიან. მეფე კონსტანტინე სასტუმროში სცხოვრობს და თან ახლავს 50 კაცისაგან შემდგარი ამალა, სეირნობის დროს მას თან სდევენ შვეიცარიის საიდუმლო აგენტები, რომლებმაც იციან, თუ ვისა ხვდება მეფე კონსტანტინე, ამერიკელ კორესპოდენტს, როცა მარტო იყო, ცუდად გამოიყურებოდა და ძველი ტანისამოსი ეცვა. დედოფალი იქ არ იყო. კონსტანტინემ გერმნულ ენის ცოდნა გამოიყენა და იმაზე ზრუნავდა, რომ გაზეთებს აგიტაცია გაეწიათ მის სასარგებლოთ ამერიკაში, სადაც 3 00,00 მდე ამომრჩეველი ბერძენია.

მოკავშირენი ფიუმეში

ფიუმეში ამას წინად მომხდარ ამბების გამოძიების დანიშვნის გამო, გადასწყვიტეს იქ მოკავშირეთა 3 სამხედრო გემი გაიგზავნოს—ინგლისის, ამერიკის და საფრანგეთის. იტალიის გემები უკვე იქ არიან-

როდის აეხსნება გერმანიის ბლოკადა

რეიტერის სააგენტო ოფიციალურად აუწყებს, რომ როგორც კი პარიზში მიიღებენ გერმანიის ძიერ საზავო ხელშეკრულებას რატიფიკაციის დამადასტურებელ საბუთებს მიიღებენ, მოკავშირენი დაუყოვნებლივ ახსნიან გერმანიის ბლოკადას. მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ყოველგვარი სავაჭრო შეზღუდვანი მოსპობილი იქნება.

ბულგარეთის დანაწილება

პარიზიდან იუწყებიან: „ჟურნალ"-ი ამბობს, საზავო ხელშეკრულების ძალით, ბულგარეთმა დასავლეთის ფრაკია ოსმალეთს უნდა დაუთმოს, ხოლო... (გაუგებარია) სერბიას რუმინია უთმობს დობრუჯას, გარდა ხიდის სიმაგრისას სოლისტრიაში... (გამოტოვებულია) ბულგარეთის წარმომადგენლები დაახლოვებით ივლისის 25 უნდა ჩამოვიდნენ ენგიგში.

„ჩვენ ჯერ-ჯერობით მოფერებით უნდა მოვექცეთ ხალხს". უფის გუბერნიაში მაჰმადიანი მცხოვრებნი რევოლიუციონურად არიან განწყობილნი; ბელებეის მაზრაში რამდენიმე დღეში 100 მოხალისემ მოიყარა თავი, რომელნიც წითელ ჯარში ჩაეწერნენ

მწვანეთა გვარდია.

მოსკოვი. ივლისის 16 მძარცველი დეზერტირები ჰფიქრობდნენ, ტყეებში შეეფარებინათ თავი, მაგრამ სროლის შემდეგ ისინი მწვანეებთან მივიდნენ და წინადადება მისცეს, მათ დენიკინის ჯარში ჩაწერილიყვნენ, მუშათა და გლეხთა წინააღმდეგ საბრძოლველად. გამყიდველები ყოველ მხარეზე მარცხდებიან: ფრონტი გამაგრდა და მზად არის გადამწყვეტი შეტაკება დაიწყოს, მაგრამ სანამ თეთრები დამარცხდებიან მწვანეები უნდა მოსპონ.

ბოლშევიზმი გერმანეთ-პოლონეთში.

შავლეში სპარტაკელთა რაზმები ჯავშნიანი მატარებლების დახმარებით თავს დაესხნენ შტაბს, ციხეს და ტყვეები განთავისუფლეს ვილნოში უმუშევართა რიცხვი დიდია. მთავრობა გაჭირვებულთა დასახმარებლად ზომებს არ ღებულობს. რიგაში სამსახურიდან მუშათა დათხოვნა გრძელდება, მათი ხელფასი დღიურად 1 მარკამდე დაეცა. ქალაქიდან 27,000 გერმანელი გაიქცა. კრეიცბურგში გლეხებს დიდ გადასახადებს ადებენ კოვნოში უმუშევრობაა გამეფებული. მუშებს ფულს არ აძლევენ. ლიბავაში ფრანგმა ოფიცრებმა ქალების მანიფესტაციები მათრახებით გაფანტეს. ელზასში ყველა რკინის მკეთებლები, სატრანსპორტო, ფოლადის ქარხნის და საქსოვი ქარხნის მუშები გაიფიცნენ.

მატარებლების დაბრუნება

კონოტოპი, ივლისის 10. ღამით ლისკასა და ბახმაჩის შორის მატარებელი, რომელიც მოსკოვიდან კიევში მიდიოდა, დაზიანდა. მოღალატეებმა გზა გააფუჭეს. ორთქლმავალი და ორი ვაგონი ლიანდაგიდან გადავარდა დანარჩენი ვაგონები მიეხსნა მგზავრებიანად დაიწვა. რამდენი მგზავრი გადარჩა. მსხვერპლი დიდია. მუშებმა და გლეხებმა ბრბოებს დაუზოგავი ომი უნდა გამოუცხადონ და სრულიად გაანადგურონ. (მოსკოვის ცნობების მიღება ცუდი ამინდის გამო გაძნელებულია.)

ფრანგული პრესა

გერმანიის ახალი ნოტები.

ბარონ ფონ-ლესნერმა კლემანსოს ნოტა გადასცა საზავო ხელშეკრულებას შესახებ. პირველი შეეხება საფრანგეთ-ბელგიის კომისიის მოწვევას, რომელმაც ზოგიერთი ტერიტორიული საკითხები უნდა განიხილოს: მეორე შეეხება საარის ოლქს, მახემრეინის პროვინციის დაპყრობას და ექსპლოატაციას. ლესნერმა აგრეთვე აუწყა საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომ მრჩეველი კლარვე გერმანიის მთავრობის წარმომადგენლად დაინიშნა კელნში.

გამარჯვების დღესასწაული

მთელი პრესსა აღტაცებით შეხვდა გამარჯვების დღესასწაულს, რომელიც პრესის აზრით საფრანგე ის და მის მოკავშირეთა დიდი მომავალის მომასწავებელია.

გაფიცვები ფინეთში

ჰელსინგფორსი ივლ. 15. ნავთსადგურის მუშების გაფიცვა ულეაბორგის, იაკობშტატის, ვიბორგის და კოტკის გარდა აბოს და ჰელსინგფორსსაც მოედო. დამქირავებლები შტრეიკბრეხერებს აგროვებენ. თავდაცვის რაზმებმა თავის თავზე მიიღეს შტრეიკბრეხერების დაცვა.

ინგლისელი სოციალისტები კოლჩაკის შესახებ

მოსკოვი. ივლ. 16. გაზეთ „მანჩესტერ გარდიან"-ში შემდეგი წერილია მოთავსებული: „ჩერჩილი ამირბარ კოლჩაკისგან მიღებულ საამდლობელ ბარათს სიამაყით უჩვენებს ყველას. მომავალი გვიჩვენებს, შეინახავს თუ არა ის ამ ბარათს ხალხთა ლიგისთვის (გამოტოვებულია) ხალხი, რომელიც სისხლსა ღვრის, მთავრობისაგან განმარტებას მოითხოვს მისი რუსეთის საქმეებში ჩარევის გამო. კოლჩაკი რომ მოსკოვს მოუახლოვდეს, ამით სამოქალაქო ომი რუსეთში მაინც არ შესწყდება, რეაქციონერების მთავრობა რუსეთში ვერ იარსებებს. ვერავითარ შემთხვევაში ვერ განხორციელდება ახალი პოლიტიკური ფორმის შემოტანის სურვილი. სახელმწიფოები ხალხთა ლიგის მოთხოვნილების თანახმად ვერ მოეწყობა.

გერმანიის ახალი მთავრობა

ლიონი, ივლისის 15. ამერიკული რადიო იუწყება: ბერლინში ეხლანდელ მთავრობას მტკიცე ნიადაგი არ აქვს. გამოცდილი მეთვალყურეები ეჭვობენ, რომ მთავრობამ კიდევ დიდხანს შეინარჩუნოს ხელში ძალა-უფლება. არსებულ პირობებში უთანხმოება იმ პარტიათა შორის, რომელთაგანაც მთავრობა შესდგება, უფრო ნათელი შეიქნა ეროვნული სკოლის საკითხზე თათბირის დროს. ცენტრის ორატორებმა ძველ საეკლესიო სკოლების დატოვებას დაუჭირეს მხარი. მოხდა შეთანხმება, რომ საეკლესიო სკოლები სახელმწიფო სკოლებთან ერთად იარსებებენ. კომპრომისული დასაწყისი მთავრობის ნიადაგის შერყევის მაჩვენებელია და შესაძლებელია შესდგეს ახალი მთავრობა.

ბოლშევიკების წინსვლა ციმბირში.

მოსკოვი. ივლის. 16. ეკატერინობურგი ციმბირის გზაა. კოლჩაკის ზურგში არეულობა ძლიერდება. ჩვენ ციმბირში ყოველ დღე წინ მივიწევთ ციმბირი კოლჩაკისაგან უნდა გაიწმინდოს. ურალის მრეწველობას ჩვენ უკვე ვაწესრიგებთ. ურალის საბჭოთა ქარხნები მალე ამუშავდება. ჩვენ ციმბირის პური და ქარაქი ვვექნება საქმე... ლად. დენიკინის შიკრიკს მეფის ძველ თავს გენერალ გრიშინ-ალმაზოვს წერილი მიქონდა კოლჩაკთან. მათი გემი კასპიის ზღვაში ჩვენმა ნაღმოსანმა ჩაიგდო ხელში. ამ წერილებიდან ნათლად სჩანს, რომ თეთრგვარდიელებს თვის ძალების იმედი არა აქვთ დენიკინი სწერს კოლჩაკს: „მობილიზაცია ცუდად მიდის. ხალხი სრულიად არ მოდის: ჩვენი ზურგი იშლება. გავრცელებულია ლოთობა: კმაყოფილი არავინ არის. ჩვენ არ გვინდა, რომ ვინმემ იცოდეს; მეფეს, რესპუბლიკას, დიქტატურას თუ დამფუძნებელ კრებას ვუჭერთ მხარს.

ბოლშევიკური ცნობები

მოკავშირეები ფინებს არ ეხმარებიან

ლონდონი. ივლისის 15 „ტაიმს"-ის ჰელსინგფორსელი კორესპონდენტი იუწყება, რომ მოკავშირეების მიერ უარის ოქმმა ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებაზე, ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა ფინეთში, რადგან ფინების აზრით დახმარებას, როგორც თვით ფინეთისათვის, ისე ევროპისათვის, დიდი მნიშვნელობა აქვს. ფინეთი, თუ ხმები გამართლდა, ან ისევ გერმანიას უნდა შეუერთდეს, ან ბოლშევიკებთან უნდა შეკრას ზავი.

შვეციის მეზღვაურთა გაფიცვების დასრულება.

ნაუენი. ივლისის 14. შვეციის მეზღვაურების გაფიცვა დასრულდა: მუშებმა 8 საათის სამუშაო დღე და ჯამაგირების მომატება მოიპოვეს.

ბოლშევიკური მოძრაობა კანადაში.

მოსკოვი. ივლისის 16. „ტაიმს" ი კანადაში მომხდარ მოძრაობის შესახებ ცნობებს ათავსებს. ვინეპეგიდან გაზ. კორესპონდენტი იუწყება, რომ მოქალაქეთა „კომიტეტსა და გაფიცულთა ბელადების შორის ბრძოლა მწვავდება". მუშათა გაზეთი იუწყება, რომ გაფიცულთა რიცხვი დღითი დღე იზრდება და წინადადებას აძლევს ყველას, ერთ დიდ კავშირში მოიყარონ თავი, რომელიც ამ დღეებში რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკას და გერმანელ სპარტაკელებს მიესალმა. ტორონტოდან „ტაიმს"-ის მეორე კორესპონდენტი იუწყება: მაქებარ პოლიციის უფროსი იუწყება, რომ ტორონტოში სამი ბოლშევიკური საზოგადოებაა, რომელიც პროპაგანდას აწარმოებს ასეთივე საზოგადოება არსებობს ვანკუვერში, ვინეპეგში და ვიქტორიაში. ოტავიდან გაზეთის კორესპონდენტი იუწყება: როდესაც პრემიერი ნორისი მიტინგზე გამოცხადდა, მას ხალხმა მიაძახა: „გადადექი". ნორიმ განაცხადა, რომ არ გადადგება, მაგრამ ყოველ ღონეს იხმარს, რომ მუშათა მდგომარეობა გააუმჯობესოს. როდესაც მან ლაპარაკი გაათავა, ხალხმა მაინც მოითხოვა მისი გადადგომა: თითქმის ასეთივე აზრი გამოსთქვეს მუშათა ორატორებმა. შემდეგ მიტინგმა გადასწყვიტა მეორე დღეს ნორისთან გამოცხადნენ და მას საბოლოო პასუხი მოსთხოვონ.

მოსკოვი, ივლისის 16. ვაშინგტონიდან „ტაიმს" დეპეშით აუწყებენ: ივლისის 3, შუაღამისას იმ სახლის ახლო, სადაც სცხოვრობს... (გამოტოვებულია), აფეთქება მოხდა. პიტსბურგის ოლქის მოსამართლის ტომსენის სახლი, ის შენობა, სადაც კლიველენდის ქალაქის მოურავი იმყოფებოდა, აგრეთვე ჰაიდენის ქალაქის საბჭოს წევრის ვოკსბერის სახლი... (გამოტოვებულია) იუწყებიან რომ იქ (?) აფეთქების გამო დაინგრა პალატის წევრის პუერსის სახლი. ქ. პიტსბურგის ერთ მდიდარ უბანში აფეთქდა ყუმბარა, რომელმაც რამდენიმე სახლი დაანგრია, რომლის დროსაც საიმიგრაციო ბიუროს გაგე სიბრიე ლოგინიდან გადმოვარდა. ამას გარდა ნიუ-იორკის ცენტრალურ უბნის დასავლეთის ნაწილში მოსამართლე ნოტუს სახლის აფეთქება სცადეს".

მეორე ყუმბარამ პაკტერსონის საამრეწველო ქარხნის პატრონის მაქს გოლდის სახლი დაანგრია. პოლიციის აზრით, ყოველივე ეს იმ დიდი ანარქიულ მოძრაობის შედეგია, რომელსაც მიზნად მთავრობის გადაყენება აქვს დასახული

მოსკოვი სულთანის გადასახლების ინიციატივა ბერძნებიდან გამომდინარეობს და მსოფლიო პატრიარქიც უჭერს მხარს შეიხ-ულ-ისლამი აცხადებს, რომ სულთანის მეორე ადგილზე გადასახლების ნებას არ მისცემს და არ აკურთხებს. სამღვდელოების უფროსის მიმართვა მოკავშირეების ელჩებს გადასცეს.

პალესტინაში ინგლისის პროტექტორატი დაარსდა.

ნიკოლაე ი ივლისის 13 პალესტინაში ინგლისის პროტექტორატით დაარსდა დროებითი მმართველობა, საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელ ბა დაეკისრა მანდელშტამს პალესტინის მართველობის წარმომადგენლები, ჟაბოტანსკის და მანდელშტამის მეთაურობით პარიზში, იმყოფებიან. სტამბოლში მოვიდა საგანგებო კომისია, რომელიც საზაო კონფერენციამ გაგზავნა ოსმალეთის შინაური მდგომარეობის გამოსარკვევად.

ინტერნაციონალის კომისია რუსეთში.

ჰელსინგფორსი. ივლისის 11. „დეილი ჰეროლდის" ნოტით, მეორე ინტერნაციონალის აღმას. კომიტეტმა დაადგინა, ლიუცერნში საერთაშორისო კონგრესის მოწვევა. კონგრესი საერთაშორისო მდგომარეობაზე და საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროს დაარსების შესახებ ითათბირეს. დაადგინეს: სათათბიროდ დასვან საკითხი რუსეთ ი და გერმანიაში გამომცდელ კომისიის გაგზავნის შესახებ.

ფინების ზარალი.

ჰელსინგფორსი. ივლისის 12. თეთრმა ფინებმა თავისი ჯარის 30 პროცენტი დაჰკარგეს. ზოგი ნაწილი სრულიადაა განადგურებული, დანარჩენებმა კი ტყეს შეაფარეს თავი და საზღვარზე გადასვლით გადარჩნენ. თეთრები ადასტურებენ, რომ ყველა ზარბაზნები და სამხედრო მასალა დაკარგეს.

მილოცვა ეკატერინობურგის აღების გამო

№-ის არმია მოულოცავს ამხანაგებს ეკატერინობურგის აღებას. ჩვენ დავამარცხეთ კოლჩაკის ჯარი. გამარჯვებულნი შევედით ურალში, ციმბირის საზღვრებს დაუახლოვდით და მტრის დევნას განვაგრძობთ. გაუმარჯოს ხალხის ბელადებს ლენინს და ტროცკის. გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას.

პარიზის ზეიმი.

ლიონი, ივლისის 1. პარიზში შესდგა გამარჯვების დიდი დღესასწაული. რაზმები, რომელიც მოკავშირე და შეთანხმებულ სახელმწიფოთა ჯარებისაგან შესდგებოდა და საფრანგეთის ჯარმა ზეიმით გაიარა მაიოს კარებიდან რესპუბლიკის მოედანზედ. გზის ორივე მხარეზე ხალხი იდგა.

ქართველნო! დაეხმარეთ მათ, ვინც სიცოცხლეს სწირავს საქართველოს, ვინც მოზღვავებულ მტერს აგრძნობინებს საქართველოს სიმტკიცეს!

ოსეთში

შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიიღო გორის მაზრის კომისარ ი. ე. ქარცივაძისაგან შემდეგი დეპეშა „კომისარი გასიევი იუწყება რომ ცხინვალში ჯარის ნაწილის დგომა საპროვოკაციო ნიადაგს ამზადებს მთიულ—ოსეთში და უნდობლობას ჰბადებს მთავრობისადმი. ჯავის საზოგადოების 6 მკათათვეს მოქალაქეთა კრებამ ერთხმად დადგინა: ითხოვოს, რათა გაგზავნონ ჯავაგორის მაზრის კომისარი და მუშათა დეპუტატების ცენტ. აღმ. კომიტეტის წარმომადგენელნი, რათა მათ გაჰფანტონ ყოველივე გაუგებრობა, ამის გამო და აგრეთვე იმიტომ, რომ ოსეთში ადმინისტრატიული აპარატი დაყენებულია კიდეც, სოფლის კომისრები ყველა ხელ ახლა გადარჩეულია, დანიშნულია ახალი რაიონის კომისარი და მცხოვრებლები, ჰგმობენ რა ძველ ეროვნულ საბჭოს ყოფაქცევას სრულ ნდობას უცხადებენ რესპუბლიკის მთავრობას, გთხოვთ შეაჩეროთ ჯარის ნაწილების წინ წაწევა და გამოიყვანოთ ჯარი ცხინვალის თემიდან.

ოსეთის რაიონის კომისარმა აცნობა:

„თქვენი დეპეშის პასუხად გაცნობებთ, რომ ჩვენ საჩქაროთ აღვძარით შუამდგომლობა შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე, როგორც ოსეთში შესული ჯარის შეჩერების შესახებ, აგრეთვე ცხინვალიდან ჯარის გაყვანის შესახებაც. თუ ჩემი შუამდგომლობა დაკმაყოფილებული არ იქნება, მაშინვე ჩამოვალ ყველა გაუგებრობის და სადავო საკითხების გამოსარკვევად. აუხსენით მცხოვრებლებს, რომ ჯარის ნაწილების დგომამ არ უნდა დააფიქროს ისინი, რადგან ჯარი გაგზავნილია წესიერების აღსადგენად, რომელიც დაარღვია რამოდენიმე ბოროტგამზრახველმა პირმა ოსეთის მშრომელი ხალხის საზიანოდ.

ყველაფერი ამის შეგნების შემდეგ მცხოვრებლებმა ყოველივე დახმარება უნდა აღმოგვიჩინონ, როგორც თქვენ მთავრობის წარმომადგენელს, ისევე ჯარის ნაწილებს. ვიმედოვნებ, რომ მთელ ოსეთის მცხოვრებლები ყურადღებით და შეგნებით მოეპყრობიან მთავრობის ყოველგვარ ზომებს, არავითარი პროვოკაციას ადგილი არ ექნება და თითონვე ჩააჩუმებენ ისეთ პირებს, რომელნიც სიძულვილს ჰბადებენ ეროთა შორის—ერთი მხრივ და მცხოვრებთა და მთავრობის შორის მეორე მხრივ. შინაგან საქმეთა მინისტრის პასუხს დამატებით გაცნობებთ".

შინაგან სამინისტრომ შემდეგი პასუხი გასცა.

„ვინაიდან ოსეთში მყოფმა სამხედრო ნაწილმა კიდეც შეასრულა თავისი დანიშნულება და მომავალშიაც მისი იქ დარჩენა აუცილებელ საჭიროებას არ შეადგენს, რადგანაც სრული სიმშვიდე დამყარდა და ადგილობრივ მცხოვრებლებმა სრული ნდობა გამოუცხადეს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას, შინაგან საქმეთა სამინისტრომ, სამხედრო სამინისტროსთან შეთანხმებით, მოახდინა სათანადო განკარგულება, რათა აღნიშნული სამხედრო ნაწილი გამოყვანილ იქმნას ხსენებულ რაიონიდან".

კიდევ არ დაიჯერებენ?

გაზ. საქართველო"-ს 2 ივლისის 136 №-ში მოთავსებული იყო ერთი ფრიად საყურადღებო რეზოლუცია კათალიკოზ პატრიარქ ლეონიდისა. ერთი მღვდელი ცხოვრების ძნელ პირობებით იძულებული გამხდარა სამოქალაქო სამსახურში შესულიყო, მაგრამ ანაფორის გახდა არ მოუსურვებია. ანაფორიანს კი სამსახურში არ უშვებდენ. მღვდელმა სთხოვა კათალიკოზსა, ასე და ამნაირად არის ჩემი საქმე, და ნება დამრთეთ ანაფორა გავიხადოვო. კათალიკოზმა ეჭვის თვალით შეხედა მღვდლის განცხადებას და არ დაიჯერა რომ მოწინავე და ჯვაროსან საქართველოში, რომელსაც არასოდეს არ შეუბღალავს ვისიმე სინიდისის თავისუფლება, ვითომ არსებობდეს ისეთი ველური უფროსი რაიმე დაწესებულებისა, რომელიც მსახურის ტანისამოსს აქცევდეს ყურადღებას და არა მისი ცოდნა-განათლებას და მუყაითობას. მისი უწმიდესობის ეჭვი მით უფრო საფუძვლიანი იყო, რომ მას ბატონმა მთავრობის თავმჯდომარემ ნოე ნიკოლოზის ძე ჟორდანიამ პირად გადასცა თავისი კათეგორიული რწმენა, რომ არსად ჩვენს რესპუბლიკაში არავითარი თუნდ მსგავსი განკარგულება არც ერთ უწყებაში არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდესო. ამიტომ კათალიკოზ - პატრიარქმა მთხოვნელს უარი უთხრა ასეთია შინაარსი ზემოხსენებულ რეზოლუციისა.

მაგრამ მთელი ტრაგიზმი ჩვენი სახელმწიფოს მართვა-გამგეობისა ის არის, რომ დღეს ჩვენში მრავალი მთავრობებია, რომელნიც ერთმანეთს არა სცნობენ, და ყოველი მათგანი ისე განაგებს თავისი „სამეფოს", როგორც სურს, და ანგარიშს არ უწევს არც ცენტრალურ მთავრობის განკარგულებას, არც მორალს და არც საქმის ინტერესს, ოღონდ კი სოციალისტის სახელი მოიხვეჭოს.

აი ოფიციალური საბუთი ამისა სწორედ იმავე ანაფორის შესახებ ასლს რედაქციას ვუდგენ.

„საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის სახაზინო მუშა-მოსამსახურეთა კავშირის ცენტრალური გამგეობა. 28 ივნისი 1919 წ. № 2812. ქ. თბილისი. შორაპნის ლ. ჰ—ს. *) თვენის დადგენილებით სამსახურში სამასალო ნაწილში (ოქმი № 24—28, VI) დაშვებულია მღვდელი გელაშვილი. ვინაიდგან ცენტრალურ გამგეობას აქვს დადგენილება, რომლის ძალითაც მღვდლები შეიძლება დაშვებულ იქმნან სამსახურში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი გაიხდიან ანაფორას. გთხოვთ გვაცნობოთ, თანახმაა თუ არა გელაშვილი დაემორჩილოს ამ დადგენილებას და თუ არ არის თანახმა, დაუყოვნებლივ გაანთავისუფლოთ ის სამსახურიდან. ცენტრალურ გამგეობის თავმჯდომარე ერ. დიდიძე. მდივანი ილ. ლ.... (არ წაიკითხება)."

ნუ თუ კიდევ არ დაიჯერებენ მთავრობის თავმჯდომარე და კათალიკოზ-პატრიარქი, რომ საქართველოში მართლაც არსებობენ ველური მოხელეებიც და სერიოზულ ორგანიზაციათა ველური გამგეებიც.

ახელი.

უცხოეთის ამბები

ჟურნალ გაზეთებიდან.

მობილიზაცია ინგლისში.

ლონდონიდან თბილისში მოკავშირეებს ატყობინებენ, რომ სათადარიგოთა მობილიზაცია ინგლისში კარგად მიმდინარეობს. საერთო რიცხვი რომ ვიანგარიშოთ 4 000-დან კვირაში 5000-ამდე კაცი ცხადდება.

ავღანეთში.

იმავე წყაროებით ინდოეთის მეფის მოადგილემ ავღანთ დელეგატები თავისთან 22 მკათათვის 22-ისთვის ინდოეთში იწვევს.

ამერიკის წარმომადგენელი რომში

როგორც ლონდონიდან იტყობინებიან ამერიკის წარმომადგენლად ჰეჯის

*) ეს ინიციალებია რკინის გზის ორგანიზაციისა, როგორც, მაგალითად „სივნარკომ", „სოგორი" და სხვანი.

მაგივრად რომში დაინიშნა ბრანდ ვეიტლოკი.

მწვანე გვარდია სოჭში.

რკინის გზის გაფუჭების გამო ოუაფსედან 4 ვერსის მოშორებით 8 მკათათვეს დარჩა მოხალისეთა ერთი სამხედრო მატარებელი. ღამე მატარებელს თავს დაესხნენ მწვანე გვარდიელები და სროლა აუტეხეს. მოუკლეს ერთი ოფიცერი, დაუჭრეს 16 კაცი.

ასტრახანის გარემოცვა.

ინგლისელების ცნობით ასტრახანი ყოველის მხრივ გარშემორტყმულია ანტი-ბოლშევიკურ ძალებით. გადაწყვეტილია ასტრახანი დაამშიონ და ისე აიღონ, რათა ნაკლები ხალხი დაიღუპოს.

გერმანიის კონტრიბუცია.

1926 წლის მაისის პირველამდე გერმანიამ უნდა გადაიხადოს 20 მილიარდი მარკა ოქროთი. 1927 წლის შემდგომ კი გადაიხდის დანარჩენ ვალს. გერმანია მოითხოვს, რომ კონტრიბუცია 100 მილიარდ მარკა ოქროს არ აღემატებოდეს.

იტალიის ვალი.

იტალიის ვალი, რომელიც მხოლოდ ამერიკისგანა აქვს აღებული უდრის 6 მილიარდ დოლარს.

ამირბარი სეიმური ეკატერინოდარში.

ეკატერინოდარში გაემგზავრა ნოვოროსიისკიდან საზღვაო ძალების უფროსი აღმოსავლეთში ამირბარი სეიმური. მას დავალებული აქვს დენიკინთა დიდი მნიშვნელოვან საკითხებზე მოილაპარაკოს.

გერმანიის ფლოტის დანაკლისი

გერმანიამ ამ ომის განმავლობაში დაჰკარგა: ერთი გემი, 6 ძველი ჯავშნოსანი, 3 ჯავშნოსანი ახალი კონსტრუქციისა, 7 კონინერი, 21 გამანადგურებელი, 41 ნაღმოსანი—28 ტრალერი 9 მშველელი კრეისერი. 122 მომუშავე გემი.

აქედგან ჩრდილო და ბალტიის ზღვებში და ატლანტის ოკეანეში დაღუპილა 32 გემი ფლანდრიის ნაპირებთან 70. ხმელთა შუა ზღვაში დაძირულა 16. შავ ზღვაში 5. თვით გერმანელებს აუფეთქებიათ 40 გემი. სხვა და სხვა ნავთ-სადგურებში დაჭერილია 7. სულ 199 გემი.

გემზე მოსამსახურეთაგან დაღუპილია 946 ოფიცერი 5.222 უნტერ ოფიცერი და 12.686 მეზღვაური.

ოსმალეთის ბედი

გაზ. „ტრიბუნ-ოფ-ჩიკაგო"-ს ცნობით, აზიური ოსმალეთი, გარდა რამდენიმე ნაწილისა, არ გაიყოფა ისე როგორც წინათ იყო განზრახული. სულთანი სტამბოლში დარჩება. შეერთებული შტატები ხელს აიღებენ აზიურ ოსმალეთის მმართველობას 25 წლის ვადით. დასავლეთის ზღვის ნაპირების გამონაკლისით, რაც გაყოფილია დიდ სახელმწიფოთა შორის. 25 წლის შემდეგ ამ ტერიტორიის საბოლოო ბედი უნდა გადასწყდეს. ეს პროექტი ეკუთვნის ლლოიდ ჯორჯს, რომელთან ვილსონიც შეთანხმებულა.

კორესპონდენცია

ს. სვიმონიანთ ხევი, (თიანეთის მაზრა). საზოგადოდ გარედ კახეთი და განსაკუთრებით სვიმონიანთ ხევი მოწყვეტილია ცენტრს, ასე რომ ქალაქს მისი არა ესმის რა და ქალაქის კიდევ ამ სოფელსა. გაზეთი აქ არ მოდის და არაფერი. ინტელიგენტს ვერა ნახავ. ამიტომაც ფონტალიონობას ეწევიან ისევ ის აუარებელი „ბეჟენცები", რომელნიც სოფელ-სოფელ დაწრწიან, უხვად სარგებლობენ ამ ქვეყნის დოვლათიანობით, აქაური პურ-მარილობით და იმ დროს, როდესაც ცალი ხელით მათხოვრობენ, მეორე ხელით ნათხოვარი ფქვილებით დატვირთულს ურმებს თბილისისკენ ეზიდებიან...

აქაურ საზოგადო უსიცოცხლობას გარდა ამ „ბეჟენცებისა" ნასალდათარებიც აფხიზლებენ, რა თქმა უნდა, თავიანთი ლოთი-ფოთობით, თოფების სროლით და ყაჩაღობით. ვიღასღა შერჩენია ადამიანის სახე? წესიერ მუშაობას გადაჩვეულნი და ომში ყოფნით გათამამებულნი გალიზიანებულ სიბრაზესა და გულის ჯავრს დაცემაში და ადამიანთა კვლაში ჰხედავენ. განსაკუთრებით ამ ბოლო დროს გახშირდა ქალების მოტაცება. დღე არ გავა, რომ ამბავი არ მოვიდეს, ამა და ამ ადგილას ესა და ეს მოიტაცეს, შუადღისას, განთიადისას და სხ.

აი, ეხლაც, მკათათვის თორმეტში რა ამბავი მოხდა: ერთს ასეთს ვაჟბატონს ხევსურს, ტარიელ არაბულს, მხარ-ბეჭიანს და ზვიადს, გულში ჩავარდნია ცოცხალაანთ ქვრივი ანნა, ლამაზი და ვაჟკაცური მოქმედებით განთქმული ქალი. მას მოუნდომნია ამ ქალის გატაცება. მისულა ღამით და კარი მიუკაკუნებიათ.

— ვინ გნებავთ!

— ეკითხება კარზე მწოლარე ქვრივის მოხუცი მამამთილი.

— ჩვენ გამოგზავნილები ვართ,— უპასუხა ტარიელმა: გუშინ აქ ყაჩაღები დაგიმალიათ და უნდა ვნახოთ...

— ვინ ყაჩაღები, რა ყაჩაღები?

— როგორ, წინააღმდეგობასაც გვიბედავ: აი, შე...

— ამ სიტყვებზე ტარიელს თოფის კონდახები მიუყოლებია. მოხუცი იძულებული გამხდარა შეჰხიზნებოდა შიგნით მყოფთ კარების გაღებაზე. იმათაც გაეღოთ. დედამთილი ნინო სანათით გამოსულა. თვითონ რძალი ისევ ლოგინში დარჩენილა. ამ დროს ტარიელს დაუწყია განგებ თვალიერება ოთახისა. ბოლოს უთქვამს ბებრისათვის, მე თქვენი რძლის ანას წასაყვანად მოველიო. ბებერს უკივლია, გადაჰლობებია, არ შეგიშვებ შიგნითაო (მეორე ოთახში, სადაც რძალი იწვა). თანაც ვინტოვკა ჩამოელო. გამართულა ჭიდაობა. დედაბერს დაუჯაბნია ვაჟკაცი, მაგრამ ტარიელს დაუსწრო რევოლვერით და გააფთრებული დედაბერი იქვე მოუკლავს.

ტარიელს თავის ვაჟკაცობის გამოცდა ამით არ დაუთავებია. გატრიალებულა ოთახიდან და დაუძახნია ამხანაგებს თვის: მოდით, მომეხმარეთ, თორემ არ მნებდებაო. მაგრამ ვიდრე ამხანაგები გამოდიოდნენ საშველად, რძალი ხმაურობაზე გამოსულა, მოკლულ დედამთილის ხელიდან გამოეტაცნა ის ვინტოვკა და ტარიელ ხევსურისთვის (ამ სახელით იყო განთქმული ის ვაჟბატონი) ესროლნა და შიგ კარებშივე ოთხი ტყვიით მოეკლა. მერე გადმომდგარა და დანარჩენებისთვისაც დაუწყია სროლა და სულ ერთიანად გაუფანტია. გათენებისას სოფლისთვის დაუძახნია თვითონ რძალს: ხალხო, მოდით, დედამთილი მომიკლეს, მაგრამ ერთი ძაღლი მეც მოვკალიო... მოდით და ნახეთ, შეამოწმეთ დახოცილებიო...

საზოგადოდ ყველა ნასალდათარი პარაზიტია ოჯახისა და ყაჩაღი ცხოვრებაში. ესენი უშლიან ხელს მყუდრო და მშვიდობიან ცხოვრებას. აი უკანასკნელად აქეთ ერობის არჩევნები იყო. უნდა ვთქვა პროპაგანდისტთა სასახელოდ, რომ ძველებური ქინიანობა არავის გამოუჩენია, ისე, დამშვიდებით უხსნიდნენ ერობის მნიშვნელობას სოფლის საზოგადოებისთვის, მაგრამ გაჩნდნენ ვაჟბატონები ცხარე კამათით და მთავრობის გინებით ხალხს ჩააგონეს, რომ ასეთი ერობა თქვენი დამღუპველია, მახეა, რომ „ბურჟუებმა" და „თავად-აზნაურებმა" ისევ ყმებად გაგხადონო. რას იტყვი? ყველა თავზე ხელაღებულია და სიტყვა წამოგცდეს, შუბლში ტყვიას მოგახვედრებენ. პროპაგანდისტებიც ხშირად იძულებული ხდებიან დამნაშავესავით თავი დაჰხარონ და მდუმარედ შეხვდნენ ასეთს ამბავს, ამით აიხსნება ის აბსენტიზმი, რომელიც ამ სოფლებში მოხდა. ხშირად სოფელი 200—300 კომლია და 60 კომლამდე ძლივს იღებენ მონაწილეობას ხმის ამოღებაში. რატომ? ეშინიათ: „ბატონებმა" და „ბურჟუებმა" ყმებად არ გამოაცხადონ. ესეც არ იყოს, ეხლა მათ „ნუმრებისა" არა სჯერათ რა. მიდიან და ეხლა ესე ამბობენ: „ბედი რასაც იტყვის, ისე მოხდესო",—და თითქმის თვალდახუჭვით ამოიღებენ ბარათს ნომრიანს და ისე უშვებენ ყუთში, რა თქმა უნდა, ის ნომერი მიიგებს, ვისაც მარჯვე მოჩხირკედელე ჰყავს ყუთთან და უხვად მოუფენს ნომრებს. ასე თავდება სოფლად პარტიული შეგნება და პარტიული მოქმედება ამდენი წლების მუშაობისა და გამოცდილების შემდეგ! ან და რა უნდა მოეკითხოთ: ხალხი დოვლათითა და სიმდიდრით სავსეა და ერთი სკოლა არა აქვთ... ოდესღაც ჰქონიათ, მაგრამ ეხლა ესეც მიუხურნიათ, რადგანაც ყურადღებას არავინ აქცევს, მასწავლებელი აქ არ მოდის, მღვდელიც არა ჰყავთ (ერთი ხანია უმღვდლოდ არიან, სოფელს ჯერ არავინ აურჩევია) და ადგილობრივ განათლების საქმეს კი სულ იგივე ნასალდათარები ეწევიან ლოთობისა, ლაზღანდარობისა და ასეთ ტაცობა-ყაჩაღობის დროს...

დროებითი **თიანელი.**

—

თერჯოლის საზოგადოება

ადგილობრივ გლეხებსა და აზნაურებს შორის არც უწინ ყოფილა დიდი გარჩევა და არც ახლა. ორივე მძიმე ჰაპანს ეწევიან, ოფლსა ჰღვრიან და წვალებით ირჩენენ თავს. ისინი დიდი მოტრფიალე არიან კერძო საკუთრების. მათ სწამთ, რომ კერძო საკუთრების მოსპობით არამც თუ გაუმჯობესდება, არამედ უფრო გაუარესდება მათი ცხოვრება. ამით აიხსნება დღეს ის, რომ სოციალისტურ ბანაკს სტოვებენ და გადადიან უფრო შესაფერ ჯგუფში.

გლეხებს დიდათ აღეძრათ სწავლის სიყვარული. ყველა ცდილობს ბევრი თუ არა, წერა-კითხვა მაინც ასწავლოს თავის შვილს და არ დასტოვოს ბნელში. ახლად გახსნილ უმაღლეს პირველ დაწყებ. სასწავლებელში ასამდე მოწაფე ითვლება. აქედან სხვა საშუალო სასწავლებელშიც ბევრი მიეშურება. გლეხებმა უმაღლ. დაწყებითი სასწავლებელთან მოითხოვეს აგრონომიული განყოფილების გახსნა.

როგორც სხვაგან, ისე აქაც გახშირდა ქურდობა და ძარცვა-გლეჯა. დამნაშავე არ ისჯება. ტყვია-წამალი უბრალოდ იწვება. თუმცა ამ ერთი თვის წინად თერჯოლის საზოგადოებას მოევლინა ბ. ფერაძე თავისი მილიციონერებით, მაგრამ ყველას იარაღის ჩამორთმევა არ მოხერხდა. განა ქურდი და ყაჩაღი მას იარაღს ჩააბარებდა? ჩვენი სოციალ-დემოკრატები დიდიდან ძველი რეჟიმის მოსპობისა, გაიძახოდნენ: „ამხანაგებო, ჟანდარმები და სტრაჟნიკები თქვენ ზურგზე ტყავს გაძრობდათ, ახლა კი დადგა დრო, როცა გეღირსებათ თავისუფლად ამოსუნთქვაო". მაგრამ მათრახი არც ახლა მოსპობილა...

ვ. გუთნურიხპირელი.

—

დ. ხონი. (სამეგრელო)

1917 წლიდან ჩვენს დაბაში არსებობს უმაღ. პირველ დაწყებითი სასწავლებელი, რომელმაც მიუხედავად მატერიალურ მძიმე მდგომარეობისა მისაბაძი გახდა სწავლა ხდის მხრივ მთელ თემში. ხსენებულ სასწავლებელში 120 მოწ. ირიცხება, რომელ რიცხვიდან 16 მოწ. წლეულ დაამთავრა IV კლასი. სწორედ აღსანიშნავია ხსენებულ სასწავლებლის მასწავლებელთა შრომა, როგორც მათდამი დავალებულ, მთავრობის მიერ, პედაგოგიურ სფეროში, ეგრეც სახალხო კულტურულ დაწესებულების გახსნის ინიციატივაში; რომელთა ინიციატივით და ორიოდე გარეშეთა დახმარებით 1919 წ. იანვრის თვეში დაარსდა, „კულტურულ საგანმანათლებლო წრე", რომლის მიზანია კულტურის შეტანა ხალხში: რეფერატების, ლექციების და მოხსენებების საშუალებით, და ამრიგად დღიდან დაარსებისა ყოველ შაბათობით იკრიბება ხსენებული წრე, რომელიც ისე გაიზარდა, რომ დღეს ჰყავს 70 წევრი და მრავალი მსმენელი. ლექციებიც რამოდენჯერმე წაიკითხეს. სამშობლო ლიტერატურაზე, ისტორიაზე, ჰიგიენაზე და სხ. წრეს ჰყავს საკუთარი დრამატიული სექციაც, რომლის საშუალებით თვეში სამჯერ მაინც იმართება წარმოდგენა საქველმოქმედო მიზნით. ხსენებული სასწავლებლის მასწავლებელთა ინიციატივით, განახლებულ იქნა ხონში არსებულ ილია ჭავჭავაძის საპელობაზე სამკითხველო, რომელიც ბოლშევიკური თარეშით იყო განადგურებული სამკითხველოს ყოველივე მიმართულების გაზეთები მოსდის. და ამრიგად უმაღ. დაწ. სასწავლებლის მასწავლებელთა ინიციატივამ და ენერგიამ ორიოდე სხვათა დახმარებით გამოიღო სასურველი ნაყოფი და ეს ყველა ხსენებული კულტურული დაწესებულებები მოათავსა თეატრის დარბაზში და ამ სახლის 1919 წ. 29 თიბათვეს დაერქვა „სახალხო სახლი", რომლის კურთხევას დაესწრო დიდი ძალი ხალხი და წარმოთქმული იქნა მრავალი სიტყვა. მე, როგორც ერთ დროებით წევრთაგანს ამ საზოგადოებისა, არ ძალმიძს დავასახელო მთელ თემში, თუ რომელ დაწესებულების მსახურთ მიუძღვის იმდენი ღვაწლი საერთო განვითარების და გამოცოცხლების საქმეში, რამდენიც ამ სასწავლებლის მასწავლებელთ. ხოლო ამისთანა ადმინისტრატიულად, კულტურულად და მდებარეობითაც ცენტრის სასწავლებელი დარჩენილია სამისტროს მიერ მიუღებლად, იმ დროს როდესაც იმავე რაიონში, რომ შორს არ წავიდეთ, მის მერე გახსნილი და ახლაც არა სრული კლასებით, სასწავლებელი, მიღებულია, აქ სადღაც რაღაც მარხია და ეს რაღაც არის უკანონობა ჩადენილი, არ ვიცი, გასულის განათლების სამინისტროს ხელში, თუ ახალის; მე არ შეუდგები ამის გამოკვლევას, ხოლო აღვნიშნავ კი უკანონობას და ვიტყვი, რომ საჭიროა მიექცეს ამას მთავრობის მიერ ჯეროვანი ყურადღება, ვინაიდან უკმაყოფილობაზე უკმაყოფილობას იწვევს საზოგადოებაში, რომლის ნაშთი იყო სხვა და სხვა ორგანიზაციების და მასწავლებელთა კავშირის უკმაყოფილების გამომხატველი დეპეშები მთავრობისადმი. „მეჭურჭლე ჭურჭელს იქ უკეთებს ყურს სადაც მოესურვება" არსებობდა ისეთი მთავრობა, რომელიც მეჭურჭლესებურ იქცეოდა, მაგრამ გავიდა ის ხანა და ის მთავრობაც ისტორიის ფურცლებს ჩაბარდა, ეხლა დემოკრატიულ რესპუბლიკაში ვცხოვრობთ და ასეთი თვალსაჩინო უსამართლობა, როგორიც ზემო აღვნიშნე, ყოველი მოქალაქესთვინ სანახავია, რაც ხმას აღებიებს მას და ეს მისი ხმის ამოღება [იმაში გამოიხატება, რომ მეჭურჭლესებურ არის აქ მოქცეული ის განათლების სამინისტრო, რომელმაც ასეთი უკანონობა ჩაიდინა ნებსით თუ უნებლიეთ ეს განგაშს იწვევს საზოგადოებაში, და ამან მაიძულა, როგორც დროებით წევრი ამ საზოგადოებისა გამომეაშკარავებია სამსახური სკოლისა და მისი მომავალი. იმედია მთავრობა ანგარიშს გაუწევს ყველა მას, რაც ამ სკოლის შრომას გარე თუ შინ და მით უსამართლობას ჩადენილს ნებსით თუ უნებლიეთ გასული თუ ახლანდელი განათლების სამინისტროს მიერ გაასამართლებს და მით აღადგენს უკვდავ სიმართლეს. თუ ამ სკოლის გარშემო დროზე არ იქნა დადებითი ზომები მიღებული, უსამართლობას ერთის მხრივ და უკმაყოფილებას მეორეს ზედ დაერთობა ის უბედურება, რომ ის 10 მასწავლებლები სკოლის ექიმითურთ რომელნიც ინიციატორობენ ახალ გახსნილ „სახალხო სახლს" და მესვეურად უდგანან კულტურულ დაწესებულებებს, რომელნიც არ ვიცი რით ცხოვრობენ იანვრიდან 1912 წ. ხოლო მანამდი კი 3 მარტის კანონის მიხედვით 325 მ., დღეს კი ნამდვილად დამშეულნი ძალაუნებურად უნდა განუდგენ საყვარელ სკოლის სამსახურს და მათივე საყვარელ კულტურულ დაწესებულებებს და ეძიონ ადგილი ამა თუ იმ სოფელში, ამა თუ იმ ქალაქში. კლასი დაიხურება და დაიშლება ეს სახალხო ტაძარიც, ვინაიდან ადგილობრივი ძალები მისთვის არ კმარა.

დროებით **ხობელი**

—

ს. მეჯვრისხევი

ვერ ეღირსა ჩვენს სოფელს ფოსტა-ტელეგრაფის მოწყობა. თითქმის მთელი წელიწადია რაც მეჯვრისხევი შეერთებულია გორთან მხოლოდ ტელეფონით.

ეხლა ადგილობრივ ერობა გვპირდება, მოკლე ხანში ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების გახსნას. გაუგზავნიათ კიდეც ცოტა ოდენი ფული და ელიან მოკლე ხანში მოხელეს, რომელიც შეუდგება საქმეს.

დღემდე კერძო ეტლი დადიოდა გორში თითქმის ყოველ დღე და მას მოჰქონდა ხოლმე კორესპოდენცია, ასე რომ ადგილობრივი საზოგადოება იგებდა ქვეყნის ავ-კარგს. ეხლა კი, როდესაც ცხოვრება გაძვირდა ამ ეტლმაც შეჰსწყვიტა მისვლა-მოსვლა და ჩვენი სოფელი გამოყრუებული დარჩა. მართალია ეხლაც დაიარებიან „ლინეიკები", მაგრამ ვაი ამ სიარულს.

კვირაში ერთხელ წავლენ ისიც თუ მგზავრი იშოვნეს. და აი ამ კერძო ხალხთან გვიხდება ხვეწნა და მუდარა, რომ როგორმე კორესპონდენცია ამოგვიტანონ. მოხდება ხოლმე რომ მთელ კვირაში მგზავრებს ვერ შოულობენ და ვერც უხდებათ წასვლა. და აი ამის გამოისობით აქაური საზოგადოება იძულებულია გამოიკვებოს აქა-იქ ყურ-მოკრულ ამბებით. იყო ისეთი მაგალითი, როდესაც აქ გაავრცელეს ხმა, ვითომ დენიკინს აეღოს ბაქო, ჩამოეგდოს აზერბაიჯანის მთავრობა და გამოელაშქროს თბილისზე.

მაგრამ შემდეგ გაზეთებიდან შევიტყვეთ, რომ ეს სიცრუეა და არაფერი ამის მსგავსი მომხდარა.

—

როგორც გაზეთებიდან ვიგებთ თითქმის ყველა ერობები ცდილობენ მეტი უნარი და შრომა გამოიჩინონ და მოჰკიდონ ამა თუ იმ ხალხისთვის სასარგებლო საქმეს. ზოგს სკოლების გამრავლება განუზრახავს, ზოგს გზატკეცილების გაკეთება და სხვა... ადგილობრივ ერობას კი ჯერ-ჯერობით არავითარი აქტიობა არ გამოუჩენია.

ერთად ერთი საქმე ის იყო რომ ერობამ პატარა სავაჭრო დუქანი გახსნა. აქაც ვერ არის წესრიგზე დაყენებული საქმე. არა აქვს არავითარი ანგარიშის წიგნები. გაჰყიდის თუ არა რაიმე საქონელს ნოქარი მაშინვე ჩასწერს ესა და ეს საქონელი გავყიდე ამა და ამ ფასადათ. მორჩა და გათავდა!

სასურველია ამ არა ნორმალურ მოვლენას მიექცეს ჯეროვანი ყურადღება და ჩააყენოს საჭურველ კალაპოტში როგორც ერობის გამგეობის მოქმედება ისე დუქნისა, თორემ რაც დრო გავა მით უფრო მეტ ნდობას დაჰკარგავს ხალხის თვალში.

მეჯვრისხეველი.

მოწოდება

ქუთაისის მაზრის სახალხო მასწავლებლებისადმი.

ამხანაგებო! ჩვენ, სახალხო მასწავლებელნი, მიუხედავად იმისა, რომ სასარგებლო შრომას ვეწეოდით და ვეწევით ყოველთვის, ჩვენი მდგომარეობა მაინც აუტანელი იყო და არის ახლაც სხვა დარგის მუშებთან შედარებით. ეს აიხსნება მით, რომ ჩვენ არ მოგვეპოებოდა ისეთი კავშირი, რომელსაც ანგარიშს გაუწევდა, ვისზედაც დამოკიდებული იყო ჩვენი მდგომარეობის გაუმჯობესება: ჩვენი გაჭირვებული მდგომარეობის მიზეზი ჩვენვე ვიყავით და ვართ. თვითეული ჩვენგანი სუსტი უძლურია, მაგრამ შეკავშირებულნი ერთ მჭიდრო კავშირში ძალას წარმოვადგენთ.

საგუბერნიო კავშირი გვაქვს, მაგრამ ამ კავშირის დაარსების შემდეგ ისეთი ღრმა ცვლილები მოხდა ჩვენს ცხოვრებაში, რომ აუცილებელი შეიქმნა ჩვენი კავშირის სახეც შევცვალოთ, მით უმეტეს რომ საგუბერნიო კავშირი ძველ პირობებშიც ვერ ასრულებდა მას, რაც საჭირო იყო.

იქონია რა მსჯელობა ამ ჩვენი ცხოვრების ახალი პირობების და ახალი კავშირის დაარსების შესახებ ქუთაისში საზაფხულო კურსებზე მყოფ მასწავლებლებმა დაადგინეს: მოწვეულ იქნეს 20 კვირკობისთვეს ქუთაისის მაზრის დაბალ და უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებელთა მასწავლებლების ყრილობა, რომელმაც უნდა დაარსოს სამაზრო კავშირი. ქუთაისის მაზრამ ამ მხრივ დაიგვიანა: ბევრმა მაზრებმა ასეთი კავშირები უკვე შეჰკრეს.

ამიტომ აუცილებელია აღნიშნულ დროზე ე. ი. 20 კვირიკობისთვეს ქუთაისის მაზრის ყველა მასწავლებელნი დაესწრონ სამაზრო ყრილობას, რომელიც გაიხსნება კლასიკურ გიმნაზიის შენობაში დილის 9 საათზე

სამაზრო ყრილობის მომწვევი კომისიის წევრნი **ალ. აფხაიძე. ივანე ბურკაძე ალ. ბარბაქაძე.**

წერილი რედ. მიმართ

ბ. რედაქტორო! გთხოვთ ადგილი მისცეთ თქვენ პატივცემულ გაზეთში ამ ჩემს განმარტებას:

გაზ. „საქართველო"-ს № 138-ში მოთავსებულია წერილი ვინმე „მოამბისა", რომელშიაც მეტად შელახულია სახელი გ. გ. ადელხანოვის ქარხნისა და მის გამგეობის წევრებისა.

ამისათვის ჩვენ საჭიროდ მივაჩნია შემდეგი განვაცხადოთ: ის თუშური ქუდები, რომელსაც აწოდებდა ბ. ვაჩნაძე მთავრობას ჯარის საჭიროებისათვის, უვარგისი ღირსებისა გაურეცხავ ქეჩის და მეტად პატარა გამოდგა. მიუხედავათ ამისა ბ. ვაჩნაძემ მაინც ვერ შესძლო იმდენი ქუდის დამზადება, რამდენიც საჭირო იყო. მისთვის არავის არაფერი არ წაურთმევია, არამედ მან თავის ნებაყოფლობით გადასცა „პოდრიადი" ბ. ბაბაჯანოვს. ადელხანოვის ქარხნის ქუდები გაცილებით უფრო მაღალი ღირსებისა იყო. ფასი 10 მან. 50 კ. იყო დამტკიცებული სახელმწიფო კონტროლისაგან მის შემდეგ, რაც დაწესებულების მიმღებმა კომისიამ მოიწონა ნიმუშები. სამხედრო მინისტრმა ბ. გიორგაძემაც დაადასტურა თავის მხრით ქარხანასთან დადებული პირობა სამხედრო სამინისტროს განყოფილების უფროსის მოხსენების შემდეგ და ამგვარათ ადელხანოვის ქარხანამ ორი კვირის განმავლობაში ჩააბარა ათი-ათასი თუშური ქუდი, თანახმად შეკრულ პირობისა, რადგანაც ეს ქუდები ძლიერ საჭირო იყო.

ამასთან უნდა მოვიხსენიო ისიც, რომ ქარხანამ წარადგინა ორი სხვა და სხვა ნიმუში. ერთი ღია ფერისა, შეუღებავი და მეორე შავ-მოლურჯო და განაცხადა, რომ რაც შეეხება შავ მოლურჯო ფერის ქუდებს, იგი პასუხის მგებლობას ვერ იკისრებდა მაგრამ სამხედრო სამინისტრომ მაინც ისურვა უეჭველად შავ-მოლურჯო ფერის ქუდები. შემდეგში აღმოჩნდა, რომ მუქი ფერი გახუნებულიყო, მაგრამ თვით თუშ... ყოველ ეჭვს გარეშეა.

რა შუაშია აქ ვისიმე პიროვნება, ან ხაზინის გაძარცვა და სხვა და სხვა მეტადრე ნახევარი წლის შემდეგ?

გ. გ. ადელხანოვის ქარხნის გამგეობა.

—

ნება გვიბოძეთ ულრმესი მადლობა გამოუცხადოთ სამოსწავლო კურსების მსმენელების დავალებით ბ. კოტე ფოცხვერაშვილს, რომელმაც შემოგვწირა ქართული ნოტები.

კურ. მსმენელი **სოფიო გიორგაძე.**

ნარევი

წითელ არმიელი ხომ ბოლოკია

ტროცკის ჰკითხეს, როდესაც კოლჩაკი დამარცხებული არ იყო და ბოლშევიკებს ავიწროვებდა: „რად არის რომ წითელ არმიელები უცბად ასე დიდი ჯგუფებით გადადიან თეთრების მხარეზე". ის ცოტათ დაფიქრდა და უპასუხა: „წითელ არმიელი ხომ წითელი ბოლოკია, ზედიდან კანი წითელი აქვს და რაწამს წაჰფხეკ ისეთივე თვალის მომჭრელი „თეთრი" გული გამოუჩნდება როგორც თეთრ არმიელებსო".

მიმოსვლა

სახალხო მატარებლებისა ს. ს. რკ. გზ

გადის თბილისიდან.

ფოთში	№ 21	ღამ.	12 ს. 5 წ.
ქუთაისში	№ 10 9	საღ.	8 ს. 7 წ.
ბათომში	№ 5	საღ.	5 ს. 4 წ.
ფოთში	№ 3	დილ.	9 ს. 56 წ.
ბათომში	№ 1	ღამ.	11 ს. 30 წ.

მოდის თბილისში

ბათომიდან	№ 2	დილ.	7 ს. —
ფოთიდან	№ 4	საღ.	8 ს. 45 წ.
ბათუმიდან	№ 6	შუად.	12 ს. 10 წ.
ქუთაისიდან	№ 11,12	დილ.	9 ს. 30 წ.
ფოთიდან	№ 22	დილ.	6 ს. 06 წ.

თბილისი-სალოღლი

გადის სალოღლში

№ 8 საღამოს 6 ს. 5 წ.
№ 6 შუადღის 2 ს. 32 წ.
№ 4 საღამოს 9 ს. 50 წ.

მოდის სალოღლიდან.

№ 3 დილის 7 ს. 27 წ.
№ 5 ნაშუად. 3 ს. 5 წ.
№ 7 დილის 11 ს. 52 წ.

თბილისი-ქსნის გორი-ბორჯომი.

გადის

№ 63 შუადღის 2 ს. 40 წ.
№ 61 დილის 7 ს. 52 წ.
№ 19,20 შუად. 3 ს. 26 წ.

მოდის:

№ 19,20 დილ. 6 ს. 30 წ.
№ 62 დილ. 11 ს. 24 წ.
№ 64 საღ. 8 ს. 4 წ.

თბილისი-სანაინი

გადის:

№ 4,3 ს. შუად, 1 ს. 40 წ.

მოდის:

№ 4,3 ს. დილ. 11 ს. 30 წ.

შენიშვნა 1. მ. მ. №№ 21 და 22 დანიშნულება არის სამგზავრო სისწრაფის გადასაზიდები და მალე წასახდენი საქონლის.

შენიშვნა 2. მ. მ. №№ 61, 62, 63, 64 იმოძრავებენ თბილისისა, ქსნისა და გორის შუა: 1 წყვილი ივლის უქმე და კვირა დღეებში, 2 წყვილი უქმე და უქმის წინადღეებში.

საექიმო კაბინეთი

ექ. პ. ცუშლაშვილისა

მიიღებიან: ვენერიული, კანის, სიფილ. და სხვა გვარ სნეულებანი ავადმყოფები სასქესო და საშარდე ორგანოთა (606 და 914 წამლობა) მიხეილის საავადმყოფოსთან, ფოსტის ახლოს პლეხანოვის (№ 55) და ბელგიის (№ 1) ქუჩების კუთხე საღამოს 6 - 7 ნახევარ საათ 25 - 2536 1

გ. გ. მებრაბიანი

შინაგანი ავადმყოფობა, ... გულისა. იღებს ახალ რენტგენის - ელექტრო-წამლობის კაბინეტში, გასინჯვა და წამლობა X ს სხივებით დიდი სალენიძილი და ... ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 1—1 7—92.

სამკურნალო კაბინეტი ექიმის ... დავითის ...

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ი და 606-ი შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ ტელეფონი 14—23.